# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 30 ოქტომბერი, 2012 წელი.

№208 (7084)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## აუცილებელია ნიურნბერგის მსგავსი პროცესი

3

მიშა „ვოლდემორტი“ და ხალხთმოყვარეობის აპოთეოზი, ანუ გამოპაავლეების ცრუმოსურნეები



## ვაი ასეთსა კრეჭასა!..




ვინ რა იცის, რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა...

*აკაკი*

## დედაქალაქის მერი წესით უნდა გადადგეს, მაშ რატომ არ მიდის გიგი უგულავა?

3



## ურემი უკვე გადაბრუნდა, ფრთხილად!

მოქკავშირისა და ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს, საქართველოს პარლამენტის მერვე მოწვევის „უმცირესობის“ წარმომადგენლებს

6

## სკოლებში გამოცდების ჩაბარების ახალი მეთოდი დაინერგება

2

## ეკოლოგიური კატასტროფა – სახელად ხუდონჰესი

8



## ღატაკი ქვეყნის „მსუქანი“ რეიტინგი

7

მთავრობა ამუშავდა

# ბიძინა ივანიშვილმა მინისტრებთან შეხვედრები დაასრულა



**გუშინ ივანიშვილმა სახელმწიფო კანცელარიაში საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე მიიღო.**

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს მაია ფანჯიკიძემ განუცხადა, საუბარი სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხს, მათ შორის პრემიერის უცხოეთში ვიზიტთან დაკავშირებულ თემას შეეხებოდა.

— ჩვენ განვიხილეთ, სად შეიძლება შედგეს პრემიერ-მინისტრის პირველი ოფიციალური ვიზიტი უცხოეთში. თავდაპირველად ითქვა, რომ ბიძინა ივანიშვილი პირველად ვაშინგტონში წავიდოდა, თუმცა იმის გამო, რომ შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნებია დანიშნული, შესაძლოა, პირველი ვიზიტი არა აშშ-ში, არამედ ევროპაში, კერძოდ ბრიუსელში შედგეს. დღეს არის პირველი დღე, როცა ახალი პრემიერ-მინისტრი იწყებს მუშაობას და ის ინდივიდუალურად მართავს მინისტრებთან შეხვედრას. მთავრობის წევრებმა თავიანთი უწყებებში შეხვედრები უკვე გამართეს და აქტუალური საკითხები განიხილეს. ბიძინა ივანიშვილთან სწორედ ამ საკითხების შეჯერება მოხდა, — აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას თქმით კი მან პრემიერი საქმის კურსში ჩააყენა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ვითარებაა თავდაცვის სისტემაში.

— ეს იყო ჩვენი პირველი სამუშაო შეხვედრა. პრემიერ-მინისტრი საქმის კურსში ჩავაყენე სისტემაში შექმნილ ვითარებაზე, მათ შორის ფინანსური კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ და იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არის ჯარი საბრძოლო მზადყოფნაში, — აღნიშნა ალასანიამ.

სოფლის მეურნეობის მინისტრის დავით კირვალიძის განცხადებით კი, პრემიერთან შეხვედრაზე საუბარი ძირითადად სოფლის მეურნეობის განვითარების მილიარდიანი ფონდის შექმნას შეეხებოდა.

— ამ ფონდის მიზანი დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა — უცხოური კაპიტალის შემოტანა იქნება, თუმცა ამასთან იარსებებს ბიუჯეტი, რომელიც თავის საქმეს გააკეთებს და ბუნებრივია ეს ფონდი მასთან თავსებადობაში მოვა, — აღნიშნა კირვალიძემ.

* * *

**აშშ-ის ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას მილოცვის წერილი გადასცა. ამის შესახებ ჟურნალისტებს ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ რიჩარდ ნორლანდმა განუცხადა.**

ელჩის თქმით, მან ბიძინა ივანიშვილს და მინისტრთა ახალ კაბინეტს წარმატებები უსურვა და განაცხადა, რომ საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ურთიერთობა გაგრძელდება.

ამასთან, აშშ-ის ელჩმა აღნიშნა, რომ შეხვედრისას კიდევ ერთხელ დაადასტურა ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სწრაფვისკენ.

კითხვაზე, განიხილეს თუ არა ივანიშვილის შესაძლო ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ელჩმა განაცხადა, რომ ამ საკითხზე საუბარი არ ყოფილა.

რაც შეეხება ბარაკ ობამას წერილის შინაარს, რიჩარდ ნორლანდმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „სჯობს პრემიერს დავუტოვოთ უფლება, წერილის შინაარსზე თავად ისაუბროს“.

ინტერპრესნიუსი

ინფორმაცია

## ილია მეორე: იმედი მაქვს, ხელისუფლება, პრეზიდენტი და სხვანი გაათავისუფლებენ პატიმრებს



**ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბრძანა.**

**უწმინდესმა და სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა სასჯელაღსრულების 31-ე დაწესებულება უკვე დატოვეს.**

**— იმედი მაქვს, ხელისუფლება, პრეზიდენტი და სხვანი, მოიღებენ მოწყალებას და გაათავისუფლებენ პატიმრებს. იმედი მაქვს, რომ ღვთის მადლით და ჩვენი ლოცვით, ჩვენი ხელისუფლების ნებით, პატიმრები იქნებიან თავისუფლები. უნდა გავაგრძელოთ ლოცვები და შევთხოვ უფალს, რომ ვიხილოთ თავისუფალი პატიმრები. მიუხედავად იმისა, რომ მძიმე სურათია, როცა ამდენი ხალხია ციხეში, იმედი მაქვს, რომ გათავისუფლდებიან პატიმრები, — ბრძანა პატრიარქმა.**

**სოზარ სუბარის თქმით კი, პატრიარქი პატიმრებს პირადად გაესაუბრა, ყველა მათგანი დალოცა.**

**მისივე თქმით, სამინისტროს წარმომადგენლებმა მოინახულეს 31-ე დაწესებულებაში მყოფი მოშიმშილე პატიმრები და ამის შემდეგ მათ შიმშილობა შეწყვიტეს.**

**სუბარმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთმა პატიმარმა მასთან შეხვედრის მოთხოვნით პირი ამოიკერა, თუმცა ვერ შეხვდება მას, რათა სხვა პატიმრების მხრიდან იდენტურ ქმედებებს არ შეუწყოს ხელი.**

## სოზარ სუბარი საქართველოს პატრიარქს შეხვდა

**საქართველოს საპატრიარქოში სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს შეხვდა.. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, შეხვედრის შემდეგ კომენტარი არ გაკეთებულა.**

**შეხვედრას ესწრებოდნენ, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტმატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე და ადვოკატი ირმა ჭკადუა.**

## ელისო კილაძემ ჟურნალისტებს ფარული ვიდეომასალა წარუდგინა

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩემი საქართველოს„ თავმჯდომარემ ელისო კილაძემ ჟურნალისტებს ფარული ვიდეომასალა წარუდგინა. როგორც კილაძე განმარტავს, კადრები ლადო ბედუკაძის მიერ არის გადაღებული და მასში კუდ-ის ინფორმატორი აღიარებს, რა დავალება ჰქონდა მიღებული „სახალხო კრებასთან“ დაკავშირებით, როგორ ევალებოდა ფარული ჩაწერები „სახალხო კრებისა„ და „დემოკრატიული მოძრაობის“ ოფისებში.**

**მისივე ინფორმაციით, ბედუკაძემ ეს ჩანაწერები გიორგი ლომიას გადასცა, რადგან ფიქრობდა, რომ იგი ნამდვილად ნინო ბურჯანაძის „პიარშიკი“ იყო და სთხოვა ეს ჩანაწერები ბურჯანაძისთვის გადაეცა.**

**— გიორგი ლომია, რომელიც „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერია, ციხის კადრების გადაღების ერთ-ერთ ორგანიზატორად დასახელდა. ლომია სინამდვილეში თაღლითობისთვის გლდანის ციხის პატიმარი იყო და ორი წელი იხდიდა სასჯელს. იგი 2011 წელს გათავისუფლდა. გლდანის ციხეში ყოფნისას ის მუდმივად აცხადებდა, რომ ნინო ბურჯანაძის „პიარშიკი“ იყო. სწორედ ამიტომ გადასცეს მას ეს კადრები, თუმცა დაზუსტებული ინფორმაცია მაქვს, რომ ეს ჩანაწერები ლომიას ბურჯანაძისთვის არ მიუტანია, — აღნიშნა ელისო კილაძემ.**

**იგი მზადყოფნას გამოთქვამს, ფარული ჩანაწერები გენერალურ პროკურატურას გადასცეს, რათა ამ საქმეზე გამოძიება ჩატარდეს და გაირკვეს, ვისი დავალებით ასრულებდა ეს პერსონა ფარულ ჩანაწერებს.**

**— ჩემი აზრით, ეს სისხლის სამართლის დანაშაულია, საქმე უკანონო ფარულ გადაღებას, მიყურადებას და ა.შ ეხება, — დასძინა მან. თავად კადრებს რაც შეეხება, ჟურნალისტებთან შეხვედრაზე კილაძემ, ტექნიკური პრობლემების გამო, ფარული ჩანაწერები მედიის წარმომადგენლებს არ გადასცა.**

ინტერპრესნიუსი

განათლება

# სკოლებში გამოცდების ჩაბარების ახალი მეთოდი დაინერგება

**ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოცდების ჩაბარების ახალი მეთოდი დაინერგება.**

**როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა და ეროვნული გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მაია მიმინოშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, გამოცდები მე-11 კლასშიც ჩატარდება და მე-12 კლასშიც.**

კერძოდ, მე-11 კლასის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები გამოცდებს ჩააბარებენ ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიასა და გეოგრაფიაში. მე-12 კლასის დასრულების შემდეგ კი, გამოცდები ჩატარდება ქართული ენასა და ლიტერატურაში, უცხო ენაში, მათემატიკისა და ისტორიაში.

— ამასთან, მე-11 კლასის მოსწავლე ამა თუ იმ საგანში წარუმატებლობის მიუხედავად, შეუფერხებლად გააგრძელებს სწავლას მომდევნო კლასში და შესაბამისი საგნის გამოცდას დამატებით ჩააბარებს სასწავლო წლის ბოლოს. ამასთან, 2012-2013 სასწავლო წლის დასასრულს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები უშუალოდ უზრუნველყოფენ მე-12 კლასელთა გამოსაშვები გამოცდების ჩატარებას და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ, გამოცდები საკუთარ სკოლებში ჩააბარონ. 2012-2013 სასწავლო წელს მე-11 კლასელები გამონაკლისის სახით გამოცდებს არა მაისში, არამედ მომდევნო სასწავლო წლის ოქტომბერში ჩააბარებენ. შესაბამისად, მათ ოპტიმალური დრო ექნებათ გამოცდებისთვის მოსამზადებლად. გამოცდები გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ სფე-ის მოდელით ჩატარდება, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

გიორგი მარგველაშვილისა და მაია მიმინოშვილის ინფორმაციით, მხოლოდ წელს ჩატარდება უმაღლესში მისაღები გამოცდები ყოფილი მინისტრის დიმიტრი შაშკინის მიერ დანერგილი სისტემით, რომლის მიხედვითაც, აბიტურიენტები უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად გამოცდებს სკოლაშივე ჩააბარებენ. 2013 წლიდან კი, კვლავ ძველი სისტემა აღდგება, რომლის მიხედვითაც, სკოლის დამამთავრებელი გამოცდების შემდეგ, აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებს აბარებდნენ.

ინტერპრესნიუსი

გაშიფრული სქემა

# რატომ არ დაინტერესდნენ გამომძიებლები ფარული ჩანაწერით?

## განათლების სისტემაში შაშკინის მინისტრობის დროს კორუფციული გარიგების შესახებ „მე-9 არხი“ ფარულ ვიდეოჩანაწერს ავრცელებს

**ფარულ ჩანაწერში განათლების სამინისტროს მაღალჩინოსნების მიერ ბიზნესმენებისთვის ფულის გამოძალვის ფაქტებია ასახული.**

**საქმეში ფიგურირებს მინისტრის მოადგილე კოკა სეფერთელაძე და მინისტრის თანაშემწე ვინმე ფელიქს უზირია, რომელიც შაშკინის სახელით საუბრობს. საქმეში ასევე გარეულია კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი.**

რაც შეეხება თავად გარიგების სქემას, ის ასეთი იყო: განათლების სამინისტროში დაბარებულ ბიზნესმენებს სახელმძღვანელოების შემოტანის ახალი ლიცენზიის მისაღებად ქრთამს სთხოვდნენ, შემდეგ კი მოსყიდვის ბრალდებით ციხეში უშვებდნენ. ფარულ ვიდეოზე 50 ათასი დოლარის გამოძალვის ფაქტია გადაღებული. მიუხედავად ამისა, გამომძალველის მაგივრად გამოძალვის ობიექტი ბიზნესმენი — კავკასიის აკადემიური ცენტრის დამფუძნებლები დავით ცეცხლაძე და ნიკა ბაქარაშვილი 2011 წლის ივლისში დააკავეს და ერთწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მათ უცხოეთიდან ინგლისურის წიგნების შემოტანისთვის სპეციალური გრიფის მიღება სურდათ და მოლაპარაკებეს თანაშემწე აწარმოებდა, რომელიც ფელიქს უზირიას სახელით გაეცნო.



კადრებში ისმის ფელიქს უზირიას საუბარი, რომ ამ ყველაფერს მინისტრი შაშკინი და მისი მოადგილე კოკა სეფერთელაძე კურირებენ . საკუთარი სიტყვების დასადასტურებლად ფელიქს უზირიამ ბიზნესმენი მინისტრის მოადგილეს კოკა სეფერთელაძეს შეახვედრა. თუმცა, კადრებში ის არ ჩანს და მხოლოდ მისი ხმა ისმის.

ბიზნესმენებმა ეს მასალა ფარულად გადაიღეს, მათ იმედი ჰქონდათ, რომ ამ მასალებს სამართალდამცავებს გადასცემდნენ და კორუფციულ სქემას გამოააშკარავებდნენ, თუმცა, გამოძიების მიმდინარეობის დროს კუდის გამომძიებლები ამ მასალებით არ დაინტერესდნენ.

From.ge

# აუცილებელია ნიურნბერგის მსგავსი პროცესი

## მიშა „ვოლდემორტი“ და ხალხთმოყვარეობის აპოთეოზი, ანუ გამოპავლეების ცრუმოსურნეები



### „რეიტინგოსნეები“

**დიახ, ჩვენ ჯადოქრები ვართ და კიდევ ბევრ სასწაულს ელოდეთ!“ – იქედნურად გაიღიმა „ლორდმა ვოლდემორტმა“ და კიბეებზე გაუჩინარდა. გაუჩინარდა, რათა დუბაიდან და სინგაპურის ფორუმებიდან მოგვევლინოს და ფურცლებზე დაბეჭდილი რეიტინგების ფრიალით მოგვაჯადოვოს, გრძნეულმა...**

**მისი გაოპოზიციონერებული გუნდი კი მათ მიერ 300 მილიონად დაუმთავრებელ ქაჯეთა გამჭვირვალე სასახლეში გამაგრდა. იმ ერთადერთ დარბაზში, სადაც ჯერ წვიმა არ ჩამოდის და ვირთხებიც არ დარბიან. და მედგრად იშიშვლა ხმალი სამართლის და ჩაგრულთა დასაცავად:**

– როდის მოუმატებს მთავრობა ხელფასებს?

– როდის გაიზრდება პენსიები?

– როდის გაიაფდება გაზი, დენი და წყალი?

– როდის გაიაფდება საბანკო კრედიტის განაკვეთი?

– როდის გაიხსნება რუსეთის ბაზარი ქართული პროდუქტებისთვის?

– როდის დაუკანონდებათ ლტოლვილებს საცხოვრებელი ფართები?

„როდის?“ „რამდენი?“ „როგორ?“ – ისმოდა რისხვიანი შეკითხვები უმცირესობად ქცეული გუშინდელი უმრავლესობისგან.

მათი შეკითხვები, მათი იერსახე, მათი პათოსი სავსე იყო შემართებით – ქართველი ხალხის, ჩაგრულების, ლტოლვილების, გაჭირვებულების, უილაჯოების, დედების, ბავშვების, ავადმყოფების, ბიზნესმენების, უმუშევრების – ყველას სახელით და ყველას ინტერესების დასაცავად ბრდღვინავდა და თვალებიდან რისხვას აკვესებდა ნაცმოძრაობა!

ისინი არ მისცემენ უფლებას!.. ისინი ყოველთვის დაიცავენ!.. ისინი არ დაუშვებენ ქართველი ხალხის ფუნდამენტური ინტერესების შელახვას!..

ისინი არ დაუშვებენ ზეწოლას!.. ისინი შეატყობინებენ მთელ მსოფლიოს, თუ რა საშინელებებს აპირებს „ქართული ოცნება“! როგორ აპირებთ პარლამენტში შექმნათ კონსტიტუციური უმრავლესობა! ეს ხომ დაუშვებელია?!

– „ქართველი ხალხის სახელით!“ გამოდიოდნენ გოკა და ბოცო, ჩიორა და კაკო, გოგა და გოგი...

იყო ერთი ჟრიამული, რისხვათცვენა და ვოქსპოპულისტობა...

წესით და რიგით, ქართველი ხალხი პარლამენტის შენობასთან ტაშით უნდა დახვედროდა მათი ბედნიერებისათვის დამაშვრალ რაინდებს... წესით და რიგით დღესვე უნდა დაწყებულიყო ტელევიზიებში აღშფოთებულ ტელემაყურებელთა და ფეისბუქში გადარეულ ინტერნეტმომხმარებელთა დარაზმვა გოგი ოჩიაურის, გოკა გაბაშვილის, ნუგზარ წიკლაურის და გოგა ხაჩიძის ირგვლივ! უნდა მომხდარიყო შეშფოთებული აქტივისტების მიერ ფეისბუქზე ჯგუფის რეგისტრაცია ლოზუნგით – „მოვითხოვთ ბიძინა ივანიშვილის მთავრობის გადაყენებას!“ მერე რა, რომ ივანიშვილის მთავრობა ჯერ არც დამტკიცებულა, მთავარია, რომ გული გულობდეს – რაც მალე მოვითხოვთ, მით უკეთესი!

მეტი კონკრეტიკაა საჭირო! „ვადები, ვადები, ვადები – ჩქარა!“ „მოვითხოვთ, ხალხის სახელით!..“ „სადაა დაპირებული ინვესტიციები?“ „საიდან ეს არარეალური დაპირებები!“ „ერთი წამით არ მოვასვენებთ! ჩვენ გვეჩქარება!..“ და ბოლოს საერთოდ ფანტასმაგორიული – „როგორ თუ წელიწადნახევარში წახვალ? სად წახვალ?!“

ნაცმოძრაობა არც დაუშვებს და არც გაუშვებს!

ძალიან საინტერესო იყო ის, რომ ჩამოლაზორანტებული უმცირესობა რისხვით და მკვეთრი შეკითხვებით თავს დაატყდა სწორედ იმ კანდიდატს, ვინც მათმა სათაყვანებელმა „ვოლდემორტმა“ წარადგინა. სრულიად სამართლიანად დაწერა ფეისბუქზე ბ-ნმა ირაკლი შავიშვილმა – მარტო ამიტომ დასაფასებელია პირველი ოქტომბერიო! წარმოიდგინეთ, მთელი 9 წლის განმავლობაში, როდესმე და რამეში ნაცმოძრაობის დეპუტაციას გაუწევია წინააღმდეგობა თავისი ფიურერისათვის?

ა-რ-ა-ს-ო-დ-ე-ს!

დღეს კი მისი დასახელებული კანდიდატი დაიწუნეს და ისიც კი გაბედეს და თქვეს – ამ კაცს ხმას არ მივცემთო!

ბუნტია „კოსტა კონკორდიაზე“, მაჭკატ!

მაგრამ ვინ არიან ეს სამართლის და დამაშვრალთა დასაცავად ხმალამოღებულთა შეუპოვარი ჯგუფი?

ეს, შემთხვევით, ის ხალხი ხომ არაა, ვინც საქართველოში უსამართლობის და უზნეობის პარპაში დაუშვა მთელი 9 წელი?

ეს ის ხალხი ხომ არაა, ვინც საქართველოში 35-ლარიანი უპატრონოდ დაგდებული ფიცრის მოპარვისთვის 65 წლის ლტოლვილს 1 წლით ციხეში უშვებდა, ხოლო თავად ათობით და ასობით მილიონის ხე-ტყეს იპარავდა, ქვეყნის სტრატეგიულ სიმდიდრეებს „უპრაგონოდ“ ჰყიდდა და 1 ლარად აჩუქებდა? ვინც საკუთარი ქონება მილიარდებამდეც კი გაზარდა?

ეს ის ხალხი ხომ არაა, ლტოლვილებს პოლიციის ძალით და ცემით რომ ყრიდა მრავალწლიანი საცხოვრებელი ადგილებიდან და კუნგის ტიპის დახურული ავტოფურგონებით საცხოვრებლად შეუფერებელ გეტოებსა და რეზერვაციებში ეზიდებოდა?

ეს ის ხალხი ხომ არაა, ვინც ყველა ბიზნესი გათელა და ქვეშ მოიგდო, მონოპოლიები და კარტელური გარიგებები ნორმად აქცია, ვინც საბანკო კრედიტის განაკვეთი ევროპაში უმაღლეს დონეზე ასწია, ხოლო საცხოვრებელი მინიმუმის დონეს მუდამ ხელოვნურად ამცირებდა და აყალბებდა! ვინც ერთ დღეში ბიზნესის დაფუძნების გაპიარებით ნახევარ ღამეში ბიზნესის ახევის მათეული პრაქტიკა მიჩქმალა?

ეს ის ხალხი ხომ არ ლაპარაკობს ზეწოლებსა და გადაბირების მცდელობებზე (და აბსოლუტურად უსაფუძვლოდ და უარგუმენტოდ ლაპარაკობს!ძ, ვინც პოლიტიკური პოლიციისა და ზონდერბრიგადების გამოყენებით ასობით და ათასობით ადამიანზე რომ ძალადობდა ხანგრძლივად? ვინც ხალხს პოლიტიკური ნიშნით აწინაურებდა საჯარო სამსახურებში და პოლიტიკური ნიშნით ათავისუფლებდა სამსახურიდან?

ეს ის ხალხი ხომ არ ახსენებს სიტყვა „სამართალს“, რომელთა მიერ სამართალი ყველა დონეზე შეგინებული და გაუპატიურებულია?

ეს ის ხალხია (ახლა რომ „მერყევი ფსიქიკის“ ბრალდებებს უსაფუძვლოდ ისვრისძ, ვინც, მართლაცდა, ფეთქებადი ფსიქიკის ლიდერს დითირამბებს უმღეროდა ცხრა წელი?

ეს ის ხალხია, ვინც 2008 წლისთვის დაპირებული 100-დოლარიანი პენსია დღემდე არ შეასრულა, ახლა რომ წამდაუწუმ ჰკითხულობს – 220 ლარს როდის გახდის პენსიებს ივანიშვილიო?

ეს ის კაბინეტი ხომ არ არის, რომლის წევრები სადისტობას, ჯალათობას, კრიმინალებთან მეგობრობას და უზნეობას დემოკრატიის შუქურვარსკვლავობას და კეკლუცხათუნობას რომ უთავსებდა?

იხ. 4 გვ.

### რეფერენდუმის უფლებით

# დედაქალაქის მერი წესით უნდა გადადგეს, მაშ რატომ არ მიდის გიგი უგულავა?



ახალი პარლამენტის წინაშე პრეზიდენტ სააკაშვილის მოწოდება გუბერნატორების პირდაპირი წესით არჩევნების შესახებ დროულია... მაგრამ... მაგრამ თანამიმდევრულობას თუ დავიცავთ და ხალხის ნების პრინციპს თუ მივყვებით, უნდა გავიხსენოთ ჩვენი კონსტიტუციის პირველი თავის მეორე მუხლის ქვეპუნქტი 4: „საქართველოს **მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეულახავად....“** რაც პირველ რიგში რეფერენდუმის უფლებასაც გულისხმობს, მაგრამ გარკვეული შეზღუდვებით რასაც კონსტიტუციის მესამე მუხლში ვკითხულობთ. ეს შეზღუდვები არანაირად არ ზღუდავენ ჩვენს მოქალაქეებს, მოითხოვონ რეფერენდუმის ჩატარება გუბერნატორის ან მერის ვადამდე არჩევნების ჩატარების შესახებ, რითაც არაორაზროვნად გამოიხატება მოქალაქეთა გულის აცრუება, უნდობლობა და აშკარა სურვილი ახალი გუბერნატორის ან ახალი მერის არჩევისა. მშვენიერია, ამის დადასტურებაა საქართველოს ორგანული კანონი რეფერენდუმის შესახებ სადაც ვკითხულობთ: „**1. რეფერენდუმი არის საერთო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად“. 2. რეფერენდუმი ხალხის ძალაუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა, რაც უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით.“** მაგრამ, (ოჰ, ეს „მაგრამ“ძ, შემდეგ ვაწყდებით: **„3. რეფერენდუმი იმართება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე“.**

აქ შევჩერდეთ! რატომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე?! რეფერენდუმი ხომ ხალხის ძალაუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა?! რატომ არიან ჩვენი რეგიონები შეზღუდულები ან რატომ არ შეუძლიათ, მაგალითად, თბილისელებს ახალი მერის არჩევა?! რა მოტივით და მტკიცებულებებით უნდა გაიზიარონ ქუთაისელებმა ან ბათუმელებმა თბილისელების სურვილი? ან პირიქით – თბილისელებმა ბათუმელების? ახალ პარლამენტში არაერთხელ გაჟღერდა, რომ, ყველა სირთულის მიუხედავად, არჩევნების შედეგი წინ გადადგმული ნაბიჯია ქვეყნის დემოკრატიზაციის გზაზე. ეს ასეა და ამასთანავე ისიც ნათლად ჩანს, რომ დემოკრატიის შინაგანი შეგრძნება ბევრ პიროვნებას არ გააჩნდა, არ გააჩნია, და, როგორც ჩანს, მომავალშიც არ გაუჩნდება. ვგულისხმობ მერს, გიგი უგულავას, რომელსაც, ვატყობ, მეტად ლმობიერად მოვექეცი 2011 წლის მიწურულს სტატიაში **„ხელისუფლება და „ჭირვეული ბავშვი“,** სადაც დავწერე, რომ ხელისუფლება აღიქვამს საზოგადოებას როგორც მომაბეზრებელ, ჭირვეულ ბავშვს, რომელიც, მის სასიკეთოდ, ზოგჯერ უნდა დასაჯო ან შეაქო, ზოგჯერ არ მიაქციო ყურადღება ან ოდნავ წაახალისო, ზოგჯერ დატუქსო ან ჭკუა დაარიგო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ აჰყვე!... ქალაქის მერი, რომლის პარტიამ ამ ქალაქში პირწმინდად წააგო, უნდა გადადგეს. რატომ არ მიდის უგულავა?

ეს პასუხგაუცემელი კითხვა მრავალი კუთხით შეიძლება იყოს შესწავლილი. ვცადოთ განვიხილოთ ამათგან თუნდაც ორი. **პირველი ვერსია:** ყველაფრის თავი და თავი კულტურაა ანუ, ამ შემთხვევაში, უკულტურობა. კულტურა, მისი ფართო გაგებით, სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის მორალი, ეთიკა, ხარისხიანი განათლება, შედეგად კი მისი საკუთარი ქცევის ფაქიზად და წინასწარ გააზრება – უფრო მეტი სიფრთხილით და გონიერებით სხვებთან ურთიერთობა. ეტყობა, უგულავას „მძიმე ნარკოტიკმა“ – ხელისუფლებამ დააკარგვინა ყოველივე, რაც ოდნავ მაინც მიახლოებულია კულტურის ცნებასთან. ღმერთმანი არ ვიცი, ჰქონია კი მას ოდესმე ეს თვისებები...

**მეორე ვერსია:** იქნებ ყველაფერს გრძნობს უგულავა, მაგრამ სხვადახვა „ვალები“ და „თავისებური“ პასუხისმგებლობა ხელ-ფეხს უკრავს, ბოჭავს მას? მაშინ კიდევ უფრო უარესად ყოფილა საქმე...

ორივე ვერსია მოწმობს ერთს: ქალაქის მართვაში სხვა უნდა დასაქმდეს. უგულავასთვის კი, სახელმწიფოსთვის ნაკლებად საზიანო საქმეა მისანდობი – „ავთვისებიან სიმსივნეს“ ან ძლიერი თერაპია ესაჭიროება ან, ქირურგიული ჩარევა – მოკვეთა. ორივე შემთხვევაში რეფერენდუმი, თბილისის მერის რიგგარეში არჩევნების მოთხოვნით, კარგი საშუალებაა.

**მალხაზ ჟვანია**

№208. სამშაბათი, 30 ოქტომბერი, 2012 წელი.

გაქცევა

# აუცილებელია ნიურნბერგის მსგავსი პროცესი



(მესამე გვერდიდან)

დაბოლოს, ეს ის პოლიტიკური ძალა არ არის, რომელთა მინისტრები სამარცხვინოდ „მოტყდნენ“ ქვეყნიდან და ახლა ეპისტოლარულ-ფეისბუქურად გვეკონტაქტებიან და გვარწმუნებენ, არასოდეს არ მიგატოვებთო? ეს ის ხალხი ხომ არაა, ვითომდა, პრეზიდენტთან შესახვედრად წასული, მძღოლს რომ მობილურს უტოვებდა მანქანაში და თვითონ აეროპორტიდან ფრანკფურტში ტყდებოდა ოჯახთან ერთად? ეს ხომ ის ლიდერებია, რომლებიც გაიქცნენ, რადგან, სავარაუდოდ, ყველა საფუძველი არსებობს, რომ მრავალწლიანი ციხე ემუქრებათ, როგორც კრიმინალებს და მაფიის ბოსებს?

და ისე, ნამეტანი ხომ არ მომდის, რომ ამ ავაზაკთა ბანდას „ხალხს“ ვუძახი? უფრო უპრიანი არ იქნება ან – „ფლიდები“, ან – „ვერაგები“, ან – „ახვრები“, ან – „თუქსუსები“?.. აი აქ კი მჭირდება დახმარება, იმის გასარკვევად, ჩამოთვლილთაგან რომელი ტერმინი უფრო სწორია მათთან მიმართებაში.

ჩამოუმცირესობებული ნეობოლშევიკების ტაქტიკა სრულიად აშკარაა:

რაც შეიძლება ადრე, ახალი მთავრობის მიერ ძალაუფლების აღებამდე (და განსაკუთრებით, სასამართლოებსა და პროკურატურაში ცვლილებების მოხდენამდეძ, მოახდინონ საზოგადოებაში ნიჰილიზმის და ეჭვის დათესვა იმის თაობაზე, რამდენად მოახერხებს ივანიშვილის მთავრობა წინა ხელისუფლების მიერ კატასტროფულად ჩასვრილი საქმეების გამოსწორებას და სხვადასხვა სფეროებში ხალხისთვის გაუმჯობესების რეალურად მოხდენას. ეს განსაკუთრებით ეჩქარებათ მანამ, სანამ უკვე ოფიციალურად გამოაშკარავდება მათ მიერ ხაზინის კატასტროფულ მდგომარეობაში დატოვება. უკვე არის ინფორმაცია, რომ ნაცვლად მერაბიშვილის მიერ გაცხადებული 2 მილიარდისა, ხაზინაში მხოლოდ 200 მილიონია!

ყველანაირად მოახდინონ იმის იმიტაცია, რომ ჩაგრული პოლიტიკური ძალა არიან! რომ არიან დემოკრატიის მებაირახტრეები, რომელთაც გამარჯვებული უმრავლესობა საშინლად და უკანონოდ ჩაგრავს!

როდესაც უახლოეს ხანებში დაიწყება იმის სრულმასშტაბიანი გამოაშკარავება, რა დონის და როგორი მასშტაბური კრიმინალი აქვს ჩადენილი ნაციონალურ მოძრაობას, როდესაც სასამართლოებში არა ათობით, არამედ ათასობით საჩივარი შევა, როცა ყველასთვის (მათ შორის – დასავლელი ლიდერებისთვისაცძ ცხადი გახდება, როგორი ძალადობის ხარჯზე არსებობდა ეს ვარდისფერი გულაგი, ეს ყველაფერი შერაცხონ მათ პოლიტიკურ დევნად და დასავლური დემოკრატიებისაგან და ანგაჟირებული მხარდამჭერებისაგან (ვილფრედ მარტენსი, კარლ ბილდტი, დონალდ ტრამპი და სხვებიძ მოითხოვონ მფარველობა!

მასობრივი საბოტაჟის და გამოსვლების ორგანიზებისათვის დარაზმონ ყველა ის ძალა, რომელთა მოთხოვნილებებს თავად მრავალ წელს აბსოლუტურ იგნორირებას უკეთებდნენ. ამის განსაკუთრებით თვალნათელი მაგალითებია დევნილთა მიერ შენობებში შეჭრის, მიტაცების და უკანონოდ დასაკუთრების კატასტროფულად გახშირებული ფაქტები. იქამდე მივიდა საქმე, რომ დევნილები უკვე იმ ორგანიზაციების შენობებსაც იტაცებენ, რომლებიც ნორმალურად ფუნქციონირებენ, ან რომლებიც სხვა დევნილებისთვის არის დაკანონებული. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ამ მიმტაცებელთა შორის არიან აბსოლუტურად გაურკვეველი „ბექგრაუნდის“ მქონე პირები, რომლებიც არ არიან ლტოლვილები ანდა არც უარყოფენ, რომ მათ უკვე აქვთ დაკანონებული საცხოვრებელი, მაგრამ „სურთ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და გაფართოება“ (!!!). აშკარაა, რომ ეს არის კოორდინირებული ქმედება, რომლის უკან ნაცმოძრაობის ინტერესები აშკარად იკვეთება – ეს არის ქვეყანაში უკანონო მდგომარეობის და ანარქიის შექმნა, რომ მოსახლეობას ნაცმოძრაობის მიერ გარანტირებული „წესრიგი“ მოენატროს!

მოახერხონ ადგილობრივ თვითმმართველობებში და გამგეობებში, მერების და გუბერნატორებისათვის პრეზიდენტის მიერ სასწრაფოდ გადასროლილი სახსრების და ქონების ხარჯზე რეგიონალური „ვანდეის“ ჩამოყალიბება და საბოტაჟის და პროპაგანდის მეშვეობით საფუძვლის მომზადება 2013 წლის აპრილის თვეში პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დაშლისა და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებში რევანშისთვის.

„ნაცმოძრაობის მთავარი შეცდომა იყო, რომ ნაცმოძრაობა ზედმეტად დემოკრატიული იყო!“ – იძახის ზომბირებული ექსპერტი გია ნოდია. თურმე, „დემაგოგია, ზოგადად, პოლიტიკოსთა წესია“ და „ არ ღირს შევაჯიბროთ, ვისი დემაგოგია უფრო დემაგოგიურია“. „ზედმეტად დემოკრატიულად“ მიიჩნევს იგი იმას, რაც ხდებოდა სასამართლოებში, პროკურატურაში, ციხეებში, სკოლებში... როცა ეკითხებიან კონკრეტულ, უკვე გამოვლენილ დანაშაულებებზე, მხრებს იჩეჩავს, რომ არ იცის... ეჩქარება ბატონ გიას დემაგოგიური გამოსვლების ციკლის ჩამთავრება. ზუსტად ისე, როგორც ეჩქარებათ ბარამიძეს და გაბაშვილს, წიკლაურს და ბოზოხიძეს, კუბლაშვილებს (სასამართლოს რეიტინგით მოტრაბახე ბ-ნ კონსტანტინეს!ძ და ოჩიაურებს (მსოფლიო ბანკის რეიტინგებით მოტრაბახე ბ-ნ გოგისძ... როცა ასობით და ათასობით სასამართლო პროცესი დაიწყება და ყველასთვის აშკარა გახდება, თუ რა საშინელება იფარებოდა ვარდისფერი ფასადის მიღმა, მერე ხომ უკვე ძალიან გაძნელდება „მე არ ვიცოდის“ ტიპის „ნაივური“ მხრების აჩეჩვა?! ქართული ავტობანები, იუსტიციის სასახლეები და ნეონის ნათურები ხომ მანამდეა თვალისმომჭრელი, სანამ ციხეებში არსებულ ძალადობას გაეცნობი?!

**სოლომონ თერნალი**

*P. S. ახლა კი, წარმოიდგინეთ ასეთი მოდელირებული სურათი: 1949 წლის გერმანია.*

*კონრად ადენაუერის მთავრობის დამტკიცების წინ ბუნდესტაგის ტრიბუნაზე რიგრიგობით ადიან იოზეფ გებელსი, ჰაინრიხ ჰიმლერი, ჰერმან ჰერინგი, იოახიმ ფონ რიბენტროპი, ჰაინრიხ მიულერი... თავად ფიურერიც (როგორც ოპოზიციის ლიდერი!) და ფოლადისებური ხმით ჩამჭრელ კითხვებს უსვამენ კანცლერობის კანდიდატს:*

*– რას გააკეთებთ გერმანელი ხალხის ბედნიერებისათვის?*

*– როდის დაიბრუნებთ პრუსიას და ელზასს?*

*– როდის აღადგენთ დანგრეულ მრეწველობას?*

*– როდისთვის მოახერხებთ გერმანული საფინანსო სისტემის სტაბილიზაციას?*

*– როდის გახდება მინიმალური პენსია 1000 მარკა?*

*– როდის დატოვებენ უცხო ქვეყნების ჯარები გერმანულ მიწებს?*

*ხოლო სესიის შემდეგ გებელსი ამაყად გაიძახის ჟურნალისტების მიკროფონების წინ:*

*– ჩვენ არ დავუშვებთ გერმანელი ხალხის მოტყუებას! ადენაუერს არ გაუვა პროპაგანდისტული ხრიკები! ჩვენ სიმართლეს მოვითხოვთ!*

*ჰიმლერიც ასევე ამაყად იძლევა ინტერვიუს: – გერმანელი ხალხი ყოველთვის იყო ტოლერანტულობის ნიმუში და ჩვენ არ მივცემთ უფლებას ახალ უმრავლესობას, ფეხქვეშ გათელოს პოლონელი თუ რუსი ტყვეების უფლებები, მოვითხოვთ მათთვის სამართლიან სამუშაო კონტრაქტებს, თანაბარ ანაზღაურებას და უმუშევრობის დახმარებას!*

*ხოლო გესტაპოს შეფი მიულერი სულაც ებრაელების და სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვის აუცილებლობაზე წარმოთქვამს მგზნებარე სიტყვას!*

*თვალის დაუხამხამებლად!*

*რამეს ხომ არ გაგონებთ ეს „მოდელირებული წარსული“?*

*იმის კვალობაზე, როგორ სულ უფრო გულისშემძვრელი ფაქტები ხდება ნათელი იმ მასობრივ ძალადობაზე, რაც დემოკრატიის შუქურად წოდებულმა ძალამ მასობრივი ტერორის ლაბორატორიად ქცეულ საქართველოში დანერგა, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოსთვის ნიურნბერგის მსგავსი პროცესი აუცილებელია. და სამართლიანობის აღდგენის ეს პროცესი თავად საქართველომ უნდა ჩაატაროს. ვფიქრობ, დიდი შანსი არსებობს, რომ ამან ისევე დაუდოს საფუძველი საქართველოს სახელმწიფოს, სამართლიანობის, საზოგადოების და ეკონომიკის აღორძინებას, როგორც ეს 50-იანი წლების გერმანიაში მოხდა.*

***ს. თ.***

აკადემია

**გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს მორიგი სხდომა.**

# ბევრი რამ ახლებურად წარიმართება

შეკრების გახსნისას საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ აღნიშნა, რომ განვლილ არჩევნებზე კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და იმის ხელმძღვანელის ბიძინა ივანიშვილის დამაჯერებელი გამარჯვება აკადემიისთვისაც ფრიად დადებითი მოვლენაა და მეცნიერებასა თუ განათლებაში დიდ ძვრებს უნდა ველოდეთ. – ვისურვებდით და ვფიქრობთ, ასეც მოხდება, რომ აკადემიაში დაბრუნდნენ ფუნდამენტური პროფილების ინსტიტუტები, რისთვისაც მზად ვართ კიდევაც. სულ მალე, ალბათ, ვითარება სასიკეთოდ შეიცვლება და ბევრი რამ ახლებურად უნდა წარიმართოს. უპირველესად უნდა ვიფიქროთ არჩევნების ჩატარებაზე, რაც სრულფასოვნად უნდა გაკეთდეს. აუცილებლად უნდა აღსდგეს აკადემიის დაფინანსება იმ დონეზე, რაც შეკვეცამდე გვქონდა – 3.600.000 ლარამდე. მე უკვე გავაგზავნე ამის თაობაზე წერილი შესაბამის სამთავრობო უწყებაში და კიდევ ვაპირებ წერილის გაგზავნას... აკადემიკოსების არჩევნები წლის ბოლომდე უნდა გამოვაცხადოთ და იმათი რიცხვი კანონით გათვალისწინებულ 70-მდე უნდა შევავსოთ. ახალ პარლამენტს უნდა ვთხოვოთ იმ დადგენილების გაუქმება, რომელიც წევრ-კორესპონდენტების არჩევნების გაუქმებას ეხებოდა – ასეთი გადაწყვეტილება აბერებს აკადემიას, ახალგაზრდობა ველარ შემოდის. დადგენილება აუცილებლად გასაუქმებელია. მე ვიცი, რომ ბატონი ბიძინა ძალიან დადებითადაა განწყობილი აკადემიისადმი და დიდი იმედიც მაქვს, რომ ყველაფერი შესრულდება თავის დროზე... აკადემიამ – ერთ-ერთმა პირველმა სამეცნიერო ორგანიზაციამ მიულოცა „ქართულ ოცნებასა“ და ბიძინა ივანიშვილს ბრწყინვალე გამარჯვება




და შემდგომი წარმატებები უსურვა. კიდევ ერთხელ მივულოცოთ! – ბრძანა ბატონმა თამაზმა.

აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა მხარი დაუჭირა აკადემიის პრეზიდენტის ნათქვამს და წინადადება წამოაყენა აკადემიაში იმგვარი ჯგუფის შექმნის თაობაზე, რომელიც შეიმუშავებს მეცნიერების აღორძინების კონცეფციას. – ჩვენ ვნახეთ, რომ ქვეყანაში განათლებისა და მეცნიერების დარგის გამძღოლად ინიშნება სიმპათიური, ნორმალური მინისტრი – პირველად ბოლო წლების სიგრძეზე... ჩვენ შეგვაცვლევინეს სააკადემიო ბანკი და სადღეისოდ ვალდებული ვართ, სასწრაფოდ დავუბრუნდეთ „ქართუ“ ბანკს, სადაც ყოველთვის კომფორტულად ვიყავით – ესეც იქნება ჩვენი რეალური დახმარება ახალი ხელისუფლებისადმი... მე პირადად მქონდა საუბარი ბატონ ბიძინასთან, ვიცი მეცნიერებისადმი იმისი თბილი დამოკიდებულება, მეც სულითა და გულით მივესალმები და ვულოცავ...

აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ფრიდონ თოდუა შეუერთდა როინ მეტრეველის წინადადებას. – აკადემიას ყოველთვის ჰქონდა საკუთარი ხედვა, საკუთარი კონცეფცია მეცნიერებისა თუ განათლების საკითხებზე, მაგრამ ახალი სამუშაო ჯგუფი, ახალი კომისია, დღევანდელ სიტუაციაზე მორგებით, ახლებურად მიუდგება ყველაფერს, – თქვა ბატონმა ფრიდონმა.

აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის შემოთავაზებით, კომისია შეიქმნება აკადემიის მთავარ სწავლულ მდივანთან, აკადემიკოს ოთარ ნათიშვილთან და იმისივე ხელმძღვანელობით იმუშავებს.

აკადემიურმა საბჭომ, რამდენიმე ორგანიზაციული საკითხის განხილვასთან ერთად, მოისმინა აკადემიკოს როინ მეტრეველის ინფორმაცია ბაქოს საერთაშორისო ჰუმანიტარულ ფორუმში მონაწილეობის შესახებ.

**თამაზ ებანოიძე**

⊙ გამრუდებული სამართალი

# ...და სიმართლესაც ნათელი მოეფინება

## ადვოკატი მამუკა ნოზაძე გიორგი ბარათელის დაკითხვას ითხოვს



**აკადემიკოს გურამ შარაძის ქალიშვილი რუსუდან შარაძე შვეიცარიიდან სამშობლოში დაბრუნდა. გურამ შარაძის მკვლელობაში მსჯავრდებულ გიორგი ბარათელის ადვოკატმა მამუკა ნოზაძემ იუსტიციის ახალი მინისტრის თეა წულუკიანის სახელზე განცხადება შეიტანა, რომლითაც იგი ბარათელის დაკითხვას ითხოვს. თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მძღოლი, ამჟამად მსჯავრდებული გიორგი ჩიხლაძე, გურამ შარაძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით ჩვენების მისაცემად მზადაა. უახლოეს დღეებში გურამ შარაძის ოჯახი ხელახალი გამოძიების დაწყების მოთხოვნით პროკურატურას მიმართავს.**

ეს სიახლეები **for.ge**-მ ადვოკატ მამუკა ნოზაძისა და რუსუდან შარაძისგან შეიტყო. ისინი იმედოვნებენ, რომ გურამ შარაძის მკვლელობის საქმის ხელახალი გამოძიება ობიექტურად წარიმართება, ოფიციალურად დადასტურდება, რომ გურამ შარაძე გიორგი ბარათელს არ მოუკლავს და ნამდვილი მკვლელი გამოვლინდება.

თეა წულუკიანის სახელზე შეტანილი განცხადება ასეთი შინაარსისაა:

**„მიმაჩნია, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 დაწესებულებაში განთავსებული ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი გიორგი ბარათელი, აკადემიკოს გურამ შარაძის მკვლელობის ფაქტზე სასჯელს უკანონოდ იხდის და იგი მსხვერპლია სააკაშვილის რეჟიმის და იმ უსამართლობის, რაც ძველი ხელისუფლების გამო იყო გამეფებული.**

**გიორგი ბარათელი წლების მანძილზე ვერ ამბობდა სიმართლეს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საფრთხე ემუქრებოდა მის სიცოცხლეს და უსაფრთხოებას. გიორგი ბარათელმა 2012 წლის 23 ოქტომბერს განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, მოითხოვა გამოძიების დაწყება მის მიმართ ჩადენილი უკანონობის გამო, გურამ შარაძის მკვლელობის ხელახალ გამოძიებასთან მიმართებაში და მოითხოვა დაკითხვა მისი ინტერესების დამცველ ადვოკატთან ერთად.**

**გთხოვთ, უზრუნველყოთ, რომ დაიკითხოს გიორგი ბარათელი, რათა ნათელი მოეფინოს გურამ შარაძის მკვლელობას და იმ დანაშაულებრივ უკანონობას, რაც ჩადენილ იქნა გიორგი ბარათელის მიმართ“.**

24 ოქტომბერს ადვოკატ მამუკა ნოზაძეს მსჯავრდებულმა გიორგი ჩიხლაძემ სიტყვიერი პირობა მისცა, რომ იგი მზადაა გამოძიებას ჩვენება მისცეს:

**„ვესაუბრე ჩიხლაძის ინტერესების დამცველ ადვოკატს ედიშერ ქარჩავას. მან დამიდასტურა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი გიორგი ჩიხლაძე ჩვენების მისაცემად მზად იყო. 24 ოქტომბერს გლდანის საპატიმრო დაწესებულებაში ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ ერთ-ერთ მსჯავრდებულთან შესახვედრად გახლდით მისული. გიორგი ჩიხლაძე თავად გამომელაპარაკა და განმიცხადა, რომ მას დათა ახალაიამ პირდაპირ უთხრა, რომ თუ მის ნება-სურვილს არ დაემორჩილებოდა და იმას არ იტყოდა, რაც ახალაიას უნდოდა, ისევე მოკლავდა და გაუსწორდებოდა, როგორც გაუსწორდა გურამ შარაძეს. დაზუსტების მიზნით შევეკითხე, რომ მზად იყო თუ არა ჩვენების მისაცემად. მან დამიდასტურა, რომ ჩვენების მისაცემად მზად არის, ანუ ის მზადაა, გამოძიებას ჩვენების სახით უთხრას ის, რაც მას დათა ახალაიამ უთხრა. ეს არის იმის ირიბი მტკიცებულება, რომ გურამ შარაძე ხელისუფლების მოკლულია, რადგან დათა ახალაია იყო ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალჩინოსანი“.**

მამუკა ნოზაძე ამბობს, რომ 29 ოქტომბერს იუსტიციის მინისტრს და მთავარ პროკურორს განცხადებით დამატებით მიმართავს — **„ჩვენ მუდმივად შევახსენებთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მთავარ პროკურატურას, რომ მოხდეს ამ საქმის სრულფასოვანი გამოძიება და დადგინდეს, ვინ ჩაიდინა გურამ შარაძის მკვლელობა. ამ საქმის გამო გიორგი ბარათელი სასჯელს ხუთწელიწადნახევარია უკანონოდ იხდის, და ბუნებრივია, ჩემი ინტერესი ისიც არის, რომ ბარათელი უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლდეს, რადგან მას გურამ შარაძე არ მოუკლავს“.**

ნინო მიქიაშვილი

⊙ ხვალის იმედით

# ჩვენ ერთად ვიბრძოდით!

**— კი გეუბნებოდი, რომ, გავიმარჯვებდით, ტირანებს დედა კი არ ვუტირეთ, მე მაგათი... — ისეთი სიტყვები მოაყოლა, მანამდე მისგან არ გამეგონა, მერე გრძელი ხელები გაშალა და საუკუნეუნახავებივით ერთმანეთს ჩავეხუტეთ. მაშინ, 29-ში, ერთად ვიდექით, იმ დიდ საოცარ დედაქალაქის შეკრებაზე, რომელმაც წელში გაწყვიტა ნაციონალები. დილით საგანგებოდ ჩამოვიდა სოფლიდან, სადაც მამაპაპურ კერას, კარ-მიდამოს პატრონობს. შემოდგომით გლეხკაცს საქმეს რა გამოულევს, მიტინგი დასრულდა თუ არა, ისევ იქით გაეშურა. პირველში ხმაც იქ მისცა, მას შემდეგ არ შევხვედრივართ.**

— სიმართლე გითხრა, ბოლომდე არც ახლა მჯერა, არ მეგონა, თუ ყველაფერი ასე მშვიდად ჩაივლიდა... საოცრებაა, არა, აი, რომ ამბობენ, პიროვნება ბევრს არ ნიშნავსო... ბიძინა რომ არა... მაშინ იპოდრომზე, 300 ათასიც ვიდექით, მიტინგიდან მიტინგზე დავრბოდით, მაგრამ რომ არაფერი გამოგვივიდა?

— მაშინ ბატონი ბიძინა რომ გვყოლოდა, ახლა სულ სხვა ქვეყანაში ვიცხოვრებდით, — კვერს ვუკრავ და თან ვხალისობთ.

შალვა შერმაზანაშვილი რუსთაველი კაცია, წარმოშობით მესხი. ავბედითმა ჟამმა მისი წინაპრები მშობლიური კერიდან აჭყარა, მერე გორთან ახლოს ჩასახლებულან. შალვა ახალგაზრდა ჩამოვიდა მეტალურგთა ქალაქში. ისევე როგორც სხვა ათასი თუ ათი ათასი. ამ ქალაქს ეშვილა, დაოჯახდა, ფესვები ღრმად გაიდგა. თითქოს, ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ...

ისე, იმ ავბედით 26 მაისს, რაც მას თავს გადახდა, ხარ-კამეჩს დასცემდა, ნაძირალა მკვლელებმა ოთხი ნეკნი ჩაუმტვრიეს, თავი გაუხეთქეს, ბარძაყის ძვლები დაულეწეს. თუ კიდევ ფეხზე დადგებოდა, არავის ვეგონა. მე და ჩემი ძმა მურთაზი, რომელიც ასევე ვეტერანი მომიტინგეა, როგორღაც გადავრჩით. ზურაც...

— შეხეთ, ლომებო, აი, ძლივს არ ველირსე ჩემი ქალაქის დაბრუნებას, აი, ეგაა რუსთავი, მისი სილაღე, — ზურა გიორგაშვილი, ძირძველი რაჭველი, როხროხით შემოგვიერთდა. ოცდაექვსში ის დიაბეტმა გადაარჩინა, შაქარი აქვს, დანიშნულ დროზე ნემსი თუ არ გაიკეთა, მისი საქმე წასულია, ჰოდა, ადრე წამოვიდა. თბილისელი რომ თავის ქალაქში მიტინგზე არ გამოვა, აბა, ეგ არის საქმე? ჩვენ რუსთავიდან დავდიოდით, არც ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას არ ვაკლდებოდით, რა თქმა უნდა, გზას ფული სჭირდება, ასაკიც გასათვალისწინებელია, მაგრამ ასობით თანამოქალაქე თავს არ იზოგავდა, ოღონდ, ერი გადაგვერჩინა ამ კაციჭამია ნაციონალებისგან, ყაჩაღებისგან, მკვლელებისგან.

ბედის ირონია, აბა, რა უნდა დაერქვას იმას, რომ იმ ნოემბრის ყინვიან ღამეებში, როდესაც სააკაშვილისა და მისი ნაძირალების ხელისუფლებაში მოსაყვანად ჩვენც იქ ვიდექით, მერე გიორგობის მზიანი დილით ქაშუეთის წმინდა ტაძართან სანთლებს ვანთებდით, მაშინ ბედმა დაგვცინა. მიშა არაკაცი გამოდგა. მაშინ ჯერ კიდევ ფეხზე იდგა სამრეწველო ქალაქი, ცოტა ქომაგი სჭირდებოდა. ქვეყნისთვის მზრუნველი ხელისუფალის სახელმწიფოებრივი ნება და დღეს წელგამართულნი ვიქნებოდით.

— რა გვეშველება აწი, მიტინგები რომ აღარ იქნება, — ხუმრობა-სიცილით გვიერთდება მურად გოგატიშვილი, ჩვენი განუყრელი მეგობარი, მას ბიზნესი აქვს და აშკარად ვერ გამოხატავდა თავის ნებას, მაგრამ ყოველთვის იქ იყო, სადაც ქვეყანას წაადგებოდა. ამჯერად ჩვენ ოთხნი შევიყარენით, მერე ამას რა მოჰყვა, ამას ახსნა არ უნდა, მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, ისე როგორც ზღვა წვეთებისგან, ერიც თითო კაცის ძალისხმევით შეიკრა, ერთ მუშტად შეიკუმშა, ხოლო ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გზა გაუკვალა, ცისკარი გაუხსნა და 1 ოქტომბერიც გამობრწყინდა.

დიახ, პირველი ოქტომბერი რომ მომავალში დიდი სახალხო დღესასწაული იქნება, ეს უკვე ცხადია.

რა თქმა უნდა, წელში გაწყვეტილი ქვეწარმავალი ჯერ კიდევ არ არის მკვდარი, ის ისევ იგესლება, მაგრამ ისიც ცხადია, ქართველობა გადარჩა, რომ გავიმარჯვეთ და მადლობა ყველას, ვინც ეს გამარჯვება მოგვიტანა.



**გივი ჯახუა,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი**

⊙ ინფორმაცია

# როგორ მიისაკუთრა ხელისუფლებამ პატარკაციშვილის ტელევიზია

## ჯოზეფ ქეი „იმედის“ დღევანდელ მფლობელს თავის წილს გადასცემს

**ამერიკაში მცხოვრები ბიზნესმენი ჯოზეფ ქეი მზად არის, მის სახელზე არსებული „იმედის“ 10%-იანი წილი ტელეკომპანიის დღევანდელ მფლობელებს უპირობოდ გადასცეს. როგორც ქეი გაზეთ „ქრონიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, „იმედთან“ დაკავშირებით დღეს შექმნილი სიტუაცია 2011 წლის 6 ივლისს „პატარკაციშვილების ოჯახსა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული ხელშეკრულების“ გაგრძელებაა.**



**— მიუხედავად ამისა, მზად ვარ, დღეს ჩემს სახელზე არსებული 10% ტელეკომპანიის დღევანდელ მფლობელებს უპირობოდ გადავცე და ვიმედოვნებ, რომ „იმედის“ მთავარი პრიორიტეტი საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიული ფასეულობების დაცვა იქნება, — აღნიშნა ქეიმ.**

**ამასთან, იგი დეტალურად ჰყვება, თუ როგორ განვითარდა „იმედთან“ დაკავშირებული მოვლენები ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ.**

**— მთავრობა ბადრის მიმართ სამართლებრივი დევნის შეწყვეტისთვის და მისი ბიზნესის ხელშეუხებლობის გარანტად ტელევიზიას ითხოვდა. იმ პერიოდისთვის ტელევიზია ნომინალური მფლობელის ხელში იყო. მთავრობისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ეს აქტივი ფორმალურადაც და ფაქტობრივადაც ისეთი ადამიანის ხელში ყოფილიყო, რომელსაც თავად ექნებოდა რამე დასაკარგი, ან მათი კლანის წევრი იქნებოდა. მე ორივე მხარისთვის მისაღები აღმოვჩნდი. ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის 5 წლით მართვის უფლების გადაცემაზე თანხმობა მივიღე. შემდეგ ბადრი გარდაიცვალა. ჩვენი ტრაგედია სათავისოდ გამოიყენეს. მოჯადოებულ წრეში აღმოვჩნდი. მე, ასე ვთქვათ, „გამაშავეს“: თითქოს ბადრის „ყალბი“ ანდერძით მისი აქტივების ხელში ჩაგდება მინდოდა. „იმედი“ არანაირად არ უკავშირდებოდა ანდერძსა და ჩემს ეკზეკუტორობას. ეს მოლაპარაკებისა და გარიგების თემა იყო. ჯაოშვილს თავის წილ აქციებში ფული გადავუხადე. ანდერძის აღმასრულებლის ფუნქცია გამოვიყენე მხოლოდ ორჯერ, ერთი ბადრის სიცოცხლეშივე წართმეული მთაწმინდის პარკის თემის დასასრულებლად, ეს გიგი უგულავას ისტერიული მოთხოვნა იყო და მეორე, ბადრიმ თავისი დაღუპული მეგობრის შვილებს თანხა დაუტოვა და მის აღებაში დავეხმარე. 2009 წელს გამომიცხადეს, რომ სააკაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება ჩემთვის „იმედი“ წაერთმია. მოტივი იყო შემდეგი, ინა ყველგან გებრძვის, „გაშავებს“ და ტელევიზია შეიძლება წაგართვას, ამიტომ ის საიმედო ხელში უნდა იყოს. მე ამის წინააღმდეგი ვიყავი, რადგან ეს არ იყო ჩვენი შეთანხმება და 5 წელიწადში მე „იმედი“ უნდა დამებრუნებინა. თავისი გეგმის შესრულება შეძლეს, — აცხადებს ჯოზეფ ქეი.**

**რაც შეეხება იმას, თუ რატომ დაუბრუნდა პატარკაციშვილის ოჯახს „იმედი“, ქეი ამ საკითხზე დეტალურად არაფერს ამბობს, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ ბერეზოვსკის ფაქტორის გამორიცხვა არ შეიძლება.**

**ამასთან, ინტერვიუში ბიზნესმენი იმ საკუთარ აქტივებსაც ასახელებს, რომლებიც მას ხელისუფლებამ წაართვა. მისი თქმით, სადაც ახლა იუსტიციის სახლია აშენებული, მიწის ნაკვეთი მისი საკუთრება იყო. — ხელისუფლება გეგმაზომიერად ანადგურებდა და ითვისებდა ჩემს ბიზნესს, — აცხადებს ქეი.**

ინტერპრესი

ღია წერილი

# ურემი უკვე გადაბრუნდა, ფრთხილად!

## მოქკავშირისა და ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს, საქართველოს პარლამენტის მერვე მოწვევის „უმცირესობის“ წარმომადგენლებს

**ყურადღებით ვუსმენდი ა/წ 25 ოქტომბერს, საპარლამენტო სხდომის მიმდინარეობას, ყოფილი უმრავლესობის წევრების კომენტარებსა და შეფასებებს კოალიცია „ქართული ოცნების“ პროგრამის ავკარგიანობაზე და მეხსიერებაში ამომიტივტივდა ცნობილი ჟურნალისტის თეიმურაზ ქორიძის სიტყვები „პოლიტიკოსები, არც თუ იშვიათად, უპროფესიო ან ხელმოცარული ადამიანები ბრძანდებიან. რა თქმა უნდა, არის გამონაკლისებიც... პოლიტიკოსები, ქვეშეცნეულად საშუალო ან უფრო დაბალი გონებრივი შესაძლებლობების ადამიანები არიან (თუმცა ამაში საკუთარ თავსაც არ უტყდებიან!), სამაგიეროდ, მათ ხელშია ძალაუფლება, რითაც საკუთარი ნაკლის გადაფარვას, უფრო ხშირად კი ამ ნაკლის ღირსებად წარმოჩენას ცდილობენ — მოჩვენებითი სიდარბაისლით, აგრესიულობით, შეუფერებელი ლაყბობით, ან სულაც „ბრძნული მდუმარებით“.**

პატივცემულო მკითხველო, ამ წერილის კონკრეტული ადრესატების ნერვების მომშლელი ხშირი გამეორებით თავი რომ არ მოგაბეზროთ, თქვენი ნებართვით, ქვემოთ, მათ მხოლოდ ერთი სიტყვით — „ყოფილებად“ მოვიხსენიებ.

მართლაც რომ, ყოფილებო, თქვენი საქმიანობის შედეგებზე და „მიღწევებზე“, ქვემოთ მოგახსენებთ. ახლა კი, რამაც ამ ღია წერილის გამოქვეყნება გადამაწყვეტინა, გახლავთ თქვენი ულირსი გამოხტომები კოალიცია „ქართული ოცნების“ სამოქმედო გეგმებისა და მიმართულებების აბუჩად ასაგდებად. თქვენ რომ სხვას ასწავლით სამოქმედო პროგრამის შედგენას, თქვენი საქმიანობის შედეგების არ გრცხვენიათ? რომელი სერიოზული დაპირება შეუსრულეთ საქართველოს მოსახლეობას? ის მაინც თუ იცით, თქვენი არაადეკვატური ქცევებით, რა ფასისა და ღირებულების ტერიტორიები დაკარგეთ? რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირეთ, ან ფიზიკურად გადარჩენის მიზნით, რამდენმა მიატოვა საკუთარი ოჯახი და სამშობლო?

კიდევ უამრავი უხერხული შეკითხვა გვაქვს, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

თავიანთი საქმიანობის დაწყებამდე, ახალი ხელისუფლების სამოქმედო პროგრამას რომ აკრიტიკებთ, თქვენი მოღვაწეობის სტარტზე შედგენილი და გამოქვეყნებული ანალოგიური დოკუმენტი გამახსენდა, რომლის თაობაზე, საქართველოს მეწარმეთა კავშირის სახელით, საკმაო მოცულობის მასალა გამოვაქვეყნე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, რომლის სათაური ასე ჟღერდა **„ამ პროგრამით „ტაძრამდე“ ვერ მივალთ“.**

თავს უფლებას მივცემ და კომენტარის გარეშე შეგახსენებთ მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს ამ სტატიიდან.

**— „იგი (ანუ ეს პროგრამა) ძალზე შორსაა რაიმე კონკრეტული საპროგრამო მოთხოვნებისაგან. სამაგიეროდ, წარმოდგენილი დოკუმენტი ზომაზე მეტადაა დატვირთული ისეთი მომაბეზრებელი ტერმინებით, როგორებიცაა: გარდაქმნა, გაუმჯობესება, გაჯანსაღება, სრულყოფა, გაღრმავება და სხვ“.**

**— „საგაზეთო პუბლიკაცია საშუალებას არ იძლევა მთელი სიგრძე-სიგანით წარმოვაჩინოთ ამ დოკუმენტის „დადებითი“ მხარეები, ამიტომ მათზე საუბარს სიამოვნებით გავაგრძელებთ ნებისმიერი ფორმატის სადისკუსიო შეკრების დროს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული დოკუმენტის ავტორებს, მეწარმეთა ინტერესების დამცველ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ცივილიზებული ფორმები რომ აერჩიათ, საქმეც მოიგებდა და ეს დოკუმენტიც. ზემოთ აღნიშნულ შეხვედრაზე ჩვენს მიერ განსახილველი რომელიმე თემა მოულოდნელი რომ არ აღმოჩნდეს ჩვენი მომავალი ოპონენტებისათვის, მათ ვთხოვთ, ჩვენთან საპაექროდ მოემზადონ შემდეგ საკითხებზე: რატომ დარჩა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სათანადო რეაგირების გარეშე პარლამენტის შესაბამისი ქვეკომიტეტის მოხსენებითი ბარათი თურქული კრედიტის თაობაზე? რატომ არ შესრულდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 20 დეკემბრის №9600 დავალების არც ერთი პუნქტი საგადასახადო სისტემის სრულყოფის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით? წარმოდგენილ დოკუმენტში რატომ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ჩვენს მიერ დამუშავებულ და პარლამენტში განსახილველად წარმოდგენილ მცირე მეწარმეობის განვითარების კონცეფციაზე?“**

ამ თემასთან დაკავშირებულ ამ და სხვა პრობლემებზე თქვენ, ანუ „ყოფილებს“ თავის დროზე რომ მიგექციათ ყურადღება, „დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ 2012 წლის მონაცემებით, **საქართველო მსოფლიოს 144 ქვეყანას შორის 131-ე „საამაყო“ ადგილზე არ აღმოჩნდებოდა კერძო საკუთრების დაცვის რეიტინგით; 141-ეზე — ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობით; 128-ეზე — სოფლის მეურნეობაზე დახარჯული საბიუჯეტო თანხის მოცულობით; 131-ეზე — ადგილობრივი პროდუქციის წარმოების მოცულობით; 126-ეზე — ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პუნქტით; 101-ეზე — პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობით; 95-ეზე — სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობით; 114-ეზე განათლების სისტემის ხარისხით; 124-ეზე — მეცნიერებისა და ინჟინრების რაოდენობით; 115-ეზე — სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ეფექტიანობით; 95-ეზე საბანკო კრედიტების ხელმისაწვდომობით.**

„ყოფილებო“, ყოველივე ამის შემყურეთ, კიდევ გაქვთ მიღწეული შედეგებით ტრაბახის ან თავის მოწონების და სხვებისთვის ჭკუის დარიგების უფლება?

ბოლოს ერთი რჩევა „ყოფილებს“. ისხედით მაგ თქვენს სამარცხვინო სავარძლებში და ხელს ნუ შეუშლით ქართული საქმეების საკეთებლად მისულ ახალ ხელისუფლებას.

**ანზორ ბაბუხადია**

გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელი,
საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი

ეკონომიკის ფარული ბილიკები

# გზა „ჩრდილიდან“ „მზეში“,

## ანუ სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთი მნიშვნელოვანი წყარო

**იმის მიუხედავად, რომ ნაციონალური მოძრაობის აწ უკვე გადამდგარი ხელისუფლების წარმომადგენლები, მათთან დაახლოებული ექსპერტები და, ასე ვთქვათ, „კარის ბიზნესმენები“ ყველა ღონეს ხმარობდნენ იმის დასამტკიცებლად, რომ ქვეყანაში „ყველაფერი რიგზეა“, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა მთელ საზოგადოებას — როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ — თვალნათლივ დაანახვა, რომ ეს ასე სულაც არ არის. ამჟამად „გაოპოზიციონერებული“ ნაციონალები, მათი მთავრობის ყოფილი წევრები თუ პარტიული ფუნქციონერები აშკარად მომავალზე გამიზნულ კამპანიას ეწევიან, რომლის მთავარი აზრი ისაა, რომ ბოლო რვა წლის მანძილზე წამოწყებული ყველა რეფორმა მეტნაკლებად წარმატებულია და თუმცა მათ ბოლომდე მიყვანას კიდევ 5-6 წელი სჭირდებოდა, რაც არ დასცალდათ, წარმატებები ყველასთვის თვალნათლივ დასანახია, ამასთან, არც იმას „მალავენ“, რომ ბევრი გადადგმული ნაბიჯი „მცდარი“ გამოდგა.**

ამჟამად არ შევუდგებით იმის გარჩევას, თუ რას იტყოდნენ იგივე ბატონები, ჯერ დიმიტრი შაშკინის, მერე კი ხათუნა კალმახელიძის ქვეშევრდომებს ისინი, ასე ვთქვათ, „შეცდომით“ „ცოცხებზე რომ შემოესვათ“ ან „სიგარეტი მოეწევინებინათ“, ანდა სახლ-კარი წაერთმიათ და ულუკმაპუროდ რომ დაეტოვებინათ, ანდა... თუმცა ამ „ანდა-ანდას“ თქმა უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს, ამიტომ სჯობს, კონკრეტულად ვილაპარაკოთ.

სხვას თავი რომ დავანებოთ და ნაცებისა და მათი კარის ბიზნესმენთა აშკარა სიცრუე რომც დაგვეჯერებინა — ქვეყანაში ოლიგოპოლია-მონოპოლიები, კორუფცია და კარტელური გარიგებები მოვსპეთო — ამას თუნდაც ის უბრალო შემთხვევა გააბათილებდა, როცა „ხალხოსანი ხელისუფლის“ როლში შესულმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ნავთობპროდუქტების იმპორტიორებს წარბი შეუხარა — ბენზინს ძალიან ძვირად ყიდით, ბიჭებოო! — მეორე დღესვე საქართველოში ერთიანად ხუთივე მსხვილმა კომპანიამ საწვავის ფასი ზუსტად ერთნაირად შეამცირა! ნავთობპროდუქტების ბაზარზე კარტელური გარიგება რომ არსებობს და წარმატებითაც მოქმედებს, ამის კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია თუნდაც საწვავზე ფასების ბოლო დაწევა, რომელიც უმალ მოჰყვა ბატონ ბიძინა ივანიშვილის საკმაოდ მკვეთრ განცხადებას, რომელიც მან გაუმართლებლად მაღალ დონესთან დაკავშირებით გააკეთა.

ადრე ხშირად გვესმოდა (და ეს მართლაც ასე იყოძ, რომ ქვეყანაში აუარება კონტრაბანდული საწვავი შემოჰქონდათ, რაც ეროვნულ ეკონომიკას აზარალებდა, გარემოს საშინლად აბინძურებდა და ა.შ., ახლა კი საზღვრებსაც ვაკონტროლებთ, საქონლის განბაჟებაც ხდება და მისი ეკოლოგიური უსაფრთხოებაც კონტროლს ექვემდებარება და ამას, ცხადია, ისევე, როგორც სხვა სიკეთეს, „ნაცპარტიას“ უნდა ვუმადლოდეთ. არადა, როგორც კეთილსინდისიერი ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ექსპერტები ერთხმად აცხადებენ ეროვნულ ეკონომიკაში საქონლის (მათ შორის ნავთობპროდუქტებისაც, რაც ყველაზე მეტი ზიანის მომტანია როგორც მოსახლეობისთვის, ასევე სახელმწიფო ხაზინისთვის და, ზოგადად, ეროვნული მეურნეობისთვისძ უკანონოდ შემოტანის პროცენტი ძალიან მაღალია. მრავალი სახეობის საქონლის უკონტროლოდ ბრუნვის გამო ქვეყნის ბიუჯეტი ყოველწლიურად ასეულობით მილიონ ლარს კარგავს **(ვიმედოვნებ, რომ შემდგომ ამ ზმნის მხოლოდ წარსულ დროში ხმარება მომიხდება — ო.ტ.)**, რაც, ფაქტობრივად, იმის დამადასტურებელი ნიშანია, რომ ეროვნული ეკონომიკის არაერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი თუ მთლიანად არა, დიდ წილად მაინც კვლავაც ყველა ხელისუფლებისგან დაგმობილი ფარული ეკონომიკის სფეროს წარმოადგენს, რომლის უცვლელი ატრიბუტი უკანონო გარიგებებია.



ეს მტკიცება მიუკერძოებელ ექსპერტთა მცდარი აზრი ან ჟურნალისტური ახირება რომ არ არის, ამას თუნდაც რამდენიმე წლის წინანდელი მონაცემები მოწმობს, რომელიც ისეთმა ავტორიტეტულმა საერთაშორისო ინსტიტუტმა გამოაქვეყნა, როგორიცაა მსოფლიო ბანკი. საერთაშორისო ექსპერტების მონაცემებით 2009 წლის დამდეგსაც კი, როცა აწ უკვე ყოფილი ხელისუფლების რეფორმები „წარმატებით“ ხორციელდებოდა, ფარული ეკონომიკის წილი 70 პროცენტს აღწევდა, რაც მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მაჩვენებელი იყო. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ წინა წლებში ეს მაჩვენებელი დაახლოებით ამავე რიგისა იყო, რასაც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გამოკვლევებიც მოწმობს, ხოლო თუ რამდენია იგი რეალურად ამჟამად, ამის შესახებ მსოფლიო ბანკის მომავალი ანგარიშიდან შევიტყობთ.

ზემოთ ყურადღება ნავთობპროდუქტების მაღალ ფასებზე გავამახვილე, რომელიც, ასე ვთქვით, საექსპერტო შეფასებით კარტელური გარიგებების შედეგია, რადგან მათი მაღალი ფასი ფაქტობრივად ავტომატურად აძვირებს ყველა დანარჩენი საქონლის ფასს, მათ შორის, ცხადია, სურსათის. არადა, მარტო ნავთობპროდუქტების და, ზოგადად, მარტო ენერგოშემცველთა (ელექტროენერგიის, გაზისძ მაღალი ფასები კი არ აძვირებს საქონელს და აზარალებს სახელმწიფო ხაზინას, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსახლეობას მარტო ეს არ ყვლეფს. ყველას ჯიბეში ასევე ძვრებიან (არ მერიდება ამის თქმა!ძ ისინიც, ვისაც ქვეყანაში საქონელი კონტრაბანდით, ანუ განუბაჟებლად შემოაქვთ. ტყუილად როდი თქვა ახლახან „ქართული ოცნების“ ეკონომიკური გუნდის არაერთმა წარმომადგენელმა, დამოუკიდებელმა ექსპერტმა, რომ **მომავალი სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო სწორედ რომ საბაჟო სამსახურის ჭეშმარიტად და არა დეკორატიულად გამართული მუშაობა უნდა გახდეს.** ის დრო წავიდა, როცა მებაჟეები მთელი მონდომებით წვრილმან მოვაჭრეებს, ასე ვთქვათ „ლიფსიტებს“ დასდევდნენ, „ღლავები“ კი თავის ნებაზე დაცურავდნენ. ამის თქმის უფლებას ის გარემოება მაძლევს, რომ, სხვადასხვა საექსპერტო მონაცემებით, მარტო წლის პირველ თვეებში მხოლოდ ერთი ქვეყნიდან, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატებიდან საქართველოში მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების კონტრაბანდული საქონელი, მათ შორის, სურსათი და იგივე ნავთობპროდუქტები შემოვიდა! არადა, ამ მონაცემთა მიღება თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებათა, ინტერნეტის ხანაში დიდ სირთულეს არ წარმოადგენს — საამისოდ საკმარისია კონკრეტული საქონლის გარკვეულ დროში ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების საბაჟო სამსახურების მონაცემთა უბრალო შედარება და ყველაფერი ცხადი გახდება. ამ მარტივი მოქმედებით კი ირკვევა, რომ კონტრაბანდული საქონელი საქართველოში, ფაქტობრივად, ყველა ექსპორტიორი ქვეყნიდან შემოდის — თუ უკვე „შემოდიოდა“?

იმედი მაქვს, რომ ბოლო ბრჭყალებში აყვანილი ზმნა ახლო მომავალში უფრო მართებული იქნება, რადგან ჭეშმარიტად ეროვნული ეკონომიკის ჯეროვნად გამართვა ფარული ეკონომიკის „სამზეოზე“ გამოყვანის გზაზე გადის.

**ოთარ ტურაბელიძე**

**დემაგოგიის ბურუსში**

# ღატაკი ქვეყნის „მსუქანი“ რეიტინგი

## დამარცხებული მიშნაცები – გამარჯვებულის პოზაში!

***იმ მარცხის შემდეგ, რაც ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ამასწინანდელ საპარლამენტო არჩევნებში იგემა, ვფიქრობდი, რომ მიშნაცები ქვეყნიდან თუ არ გაიქცეოდნენ (აკი ზოგმა უკვე მოასწრო კიდეც), დაირცხვენდნენ მაინც, ენას მუცელში ჩაიგდებდნენ და გამარჯვებით მოსულ სახალხო ხელისუფლებასთან ერთად ქვეყნის სააღმშენებლო ფერხულში ჩაებმებოდნენ. არაფერი შეგეშალოთ, გაოპოზიციონერებულმა ნაცმოელებმა დიდი გაჭირვებითა და კნასიკნუსვით უმცირესობის მანტია კი მოისხეს, მაგრამ დიდ ეროვნულ საქმეთა მკეთებლის პოზა კვლავაც შეინარჩუნეს. აბა როგორ, საქართველომ, რომელსაც ადრე მსოფლიოში თითქმის არავინ იცნობდა, მიშნაცების წყალობით რეიტინგის თურმე ისეთი „ტალავერი“ გააშენა, რომ მთელი დუნია სანამყენე ჯიშებს აქედან ეზიდება. ეს ეკონომიკური და საგანმანათლებლო რეფორმებიო, შენ ხარ ჩემი ბატონი, ეს ბიზნესის საკეთებლად უიოლესი პირობებიო, ეს საგადასახადო ნოვაციები, უცხოელთათვის თვალისმომჭრელი იუსტიციის სახლებიო და კიდევ რა აღარ, რამაც საქართველოს მსოფლიოში რეიტინგული ქვეყნის სწორუპოვარი იმიჯი შეუქმნა. მართალია, ამავე რეიტინგულ ხელისუფლებას შიგადაშიგ დამშეული მოსახლეობის 30-ლარიანი ვაუჩერებით დაპურებაც უწევდა, მაგრამ ეს იმ წარმატებასთან რა მოსტანია, რითაც ბოლო წლებში საქართველომ მაღალი რეიტინგის წყალობით მსოფლიოს თვალში მოიპოვა.***

ეს, რა თქმა უნდა, დიდი სტიმულია, უპირველესად, ოპოზიციაში გადასული პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის, რომელიც მსოფლიოს რომელ ქვეყანაშიც არ უნდა გამოდიოდეს და რა საკითხზეც არ უნდა საუბრობდეს, არავითარ შემთხვევაში შანსს არ გაუშვებს, რომ არ შეგვახსენოს თავისი მმართველობის პერიოდში საქართველოს მიერ მოპოვებული რეიტინგები – რეფორმატორობაში, ბიზნესის იოლად კეთებაში, დემოკრატიის სწორუპოვარ განვითარებაში, კორუფციის დასამარებაში აღებული პირველი ადგილები, – რამაც უცხოელი ინვესტორები იმდენად მოიხიბლა, რომ აღარც კი უწყიან, რომელმა რომელს დაასწროს ჩვენთან თანხების დაბანდება.

ამ ორიოდე დღის წინათაც, დუბაიში მსოფლიო ენერგეტიკულ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას, მიხეილ სააკაშვილმა ჩვეულებას არ უღალატა, საქართველოს როგორც განვითარებადი ქვეყნის უჩვეულო მიღწევებზე წაიტრაბახა და განაცხადა, რომ ის როგორც საქართველოს პრეზიდენტი და ოპოზიციური ძალის ლიდერი, კვლავაც გააგრძელებს იმის პოპულარიზაციას, რომ საქართველო დანარჩენი მსოფლიოსათვის ძალიან მნიშვნელოვანი საინვესტიციო წერტილია. მისი თქმით, საქართველოში ტრადიციად ქცეული ტენდენცია უნდა დაირღვეს, როდესაც ოპოზიციის მთავარი ფუნქცია იყო არსებული მთავრობის ლანძღვა და მთელი მსოფლიოსთვის იმის მოყოლა, თუ რა აუტანელი ცხოვრებაა მის ქვეყანაში. ამ განცხადებიდან მეორე დღეს იმავე დუბაიდან, ნეტარპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ისიც გვახარა, რომ მსოფლიო ბანკის ახლახან გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, საქართველომ მსოფლიო რეიტინგში შარშან დაკავებული მე-16 ადგილიდან საპატიო მე-9 ადგილზე გადმოინაცვლა. იქვე დაამატა, რომ საქართველო ერთადერთი განვითარებადი ქვეყანაა, რომელიც რეტინგის საზომით მსოფლიო ქეყნების პირველ ათეულში მოხვდა. პრეზიდენტი უკმაყოფილოა, რომ ზოგი ვინმე საქართველოში ამ მიღწევას ცრუ რეალობად აღიქვამს და ყოფილ ხელისუფლებას მსოფლიოს ცალკეული ინსტიტუციების მოსყიდვაში ადანაშაულებს. თუ საქმე მოსყიდვაზე მიდგება, რუსეთს საქართველოზე ბევრად მეტი ფული აქვს და მაშინ გაუგებარია, მსოფლიო რეიტინგში 112-ე ადგილზე რატომღა მიჩანჩალებსო? – დასვა კითხვა საკუთარი მიღწევების დაუნახაობით გულშეწუხებულმა ქვეყნის მეთაურმა.

მინდოდა პრეზიდენტისთვის მეთანაგრძნო, მეთქვა – ჩვენო მალალო, ნებიერა და თავნება თავკაცო, მართალია, ნაშრომ-ნაღვაწი, ქვეყნისათვის შეფიცული აღმშენებლობა ისე ვერ დაფასდა, როგორც გეკუთვნოდა-მეთქი (ნათქვამია, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო), მაგრამ მისივე ერთგული, სამშობლოს პატრიოტი მამულიშვილების, ქვეყნის კათილდღეობისათვის შეწირული ნაციონალი დეპუტატების ნუგზარ წიკლაურის, გოკა გაბაშვილის, პალიკო კუბლაშვილის, პეტრე ცისკარიშვილის, სხვათა და სხვათა რისხვისა შემეშინდა. არ მეტყოდნენ, რას ბოდიალობ, ვერა ხედავ, რა ოფლის ღვრაში ვართ, რა ტანჯვა-წვალებაში, სინდის-ნამუსზეც ხელი გვაქვს აღებული, ოღონდაც ჩვენი ნაშენები ქვეყანა გადავარჩინოთ და პრეზიდენტსაც უკლებლივ შევუნარჩუნოთ, საკუთარი კბილებით დავიცვათ ის მაღალი რეიტინგი, რაც მან მსოფლიოში სრულიად დამსახურებულად მოიპოვაო. მეტყოდნენ და მართალნიც იქნებოდნენ, განა ჩვენ ყველამ ერთად არა ვნახეთ და ვუცქირეთ, ამ დღეებში საპარლამენტო უმცირესობა როგორი პრინციპულობითა და თავდადებით იცავდა პიარტექნოლგიებით მონაპოვარ საქართველოს ცრურეიტინგს?

**აღარაფერს ვამბობ ერთ დროს საქართველოს ეკონომიკისა და რეფორმების „მამად“ აღიარებულ კახა ბენდუქიძეზე, რომელიც სულითა და ხორცით (განუყოფელი ღიპითაც), დღესაც ისეთივე ერთგულია ქვეყნის დამანგრეველი რეფორმებისა, როგორც მაშინ, როცა ამ რეფორმებს რუდუნებით ქმნიდა. თუმცა, რეფორმების გარდა, მსოფლიოს თვალში საქართველოს რეიტინგის ზრდაში, ნამინისტრალ ბენდუქიძის პირადი წვლილის დაუნახაობა იქნებოდა ჩვენი მხრივ რომ არ გველიარებინა ის შედეგი, რასაც მან პირადი კაპიტალის დაგროვებაში („თავისუფალი უნივერსიტეტი“, საგანმანათლებლო ფონდი, „საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი“ და სხვა) მიაღწია. ვერაფერს დაემდურები, რის გაყიდვაც რეფორმების პროცესში ვერ მოასწრო, ახლა თავად იძენს(!).**

კიდევ კარგი, ზორბატანიანობის მიუხედავად, ბენდუქიძემ იყოჩაღა, იცქვიტა და რამდენიმე მსხვილი „ობიექტის“ შესყიდვა მოასწრო, თორემ უცხოელი ინვესტორები საქართველოს ისე შემოესივნენ, რომ მის საყოველთაოდ აღიარებულ რეიტინგს ერთბაშად ბრდღვნა გაადინეს. ეს რეალურად აისახა კიდეც ქვეყნის ეკონომიკაში: თუ 2007 წელს ინვესტიციების მოცულობა საქართველოში 2 მილიარდ დოლარზე მეტი იყო, 2008 წლის პირველ ნახევარში – მილიარდნახევარი, 2009 წელს ინვესტიციების რაოდენობა 660 მილიონ დოლარამდე შემცირდა, ხოლო მომდევნო წლებში მან კიდევ უფრო იკლო და, შეიძლება ითქვას, კანტიკუნტადღა შემოდიოდა. **2011 წელს საქართველოში ოთხჯერ ნაკლები ინვესტიცია შემოვიდა, ვიდრე 2007 წელს. ეს იმ ფონზე, როცა ჩვენ ბიზნესის კეთების სიიოლით მსოფლიოში საპრიზო ადგილზე მყოფი ქვეყანა ვიყავით(!).**

ამ ციფრებმა ცოტა არ იყოს, დაგაბნიათ, არა? პრეზიდენტი სააკაშვილი ერთთავად იმის მტკიცებაშია – მოზღვავებულმა ინვესტიციებმა აგვიკლოო, ექსპერტები კი ინვესტიციების ოთხჯერ შემცირებაზე ლაპარაკობენ და თუ ასე გაგრძელდა სამომავლოდ, საერთოდ მათ გაქრობაზეც. ამ სარეიტინგო ადგილმაც რომ გვილალატა და შარშან თურმე მსოფლიოში პირველის ნაცვლად (გვარწმუნებდნენ პირველზე ვართო) მე-16 ადგილზე რომ ვყოფილვართ, ეს რაღას დავაბრალოთ, პრეზიდენტის არაინფორმირებულობას თუ განგებ თავის მოტყუებას? ან იქნებ ბაქიბუქის ხელოვნებას, რითაც მიხეილ სააკაშვილი მსოფლიოში უდავოდ პირველ ადგილზეა?

**სააკაშვილისეული ფანტაზიებით თუ არ გამოვიკვებებით, რეალობა ის გახლავთ, რომ ახალ-ახალი ინვესტიციებით კი არ ივსება ქვეყანა, ძველებმაც კი, რომლებიც თავის დროზე შემოვიდნენ საქართველოში, ან შეაჩერეს საქმიანობა ან საერთოდ ხელი აიღეს საქმეზე და გაუჩინარდნენ. ქვეყანაში მყარად დაგვრჩა მხოლოდ ცრურეიტინგი, რომლითაც ყოფილი ხელისუფლება ტყუილუბრალოდ ამაყობს და რომელიც ეკონომიკას სარგებლობის ნაცვლად აზარალებს.**

რეალობას სად გავექცევით, ნაცები რომ ტრაბახობენ ეკონომიკა ავაყვავეთო, სინამდვილეში მათი დაუსრულებელი „რეფორმების“ წყალობით ქვეყანაში მხოლოდ ერთი შედეგი მივიღეთ – იმავე მსოფლიო ბანკის ინფორმაციით, რომელმაც ჩვენთვის მაღალი რეიტინგი არ დაიშურა, საქართველო 2010 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე გათვლილი მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით 1990 წლის მაჩვენებელს 25 პროცენტით ჩამორჩება. მშპ საქართველოში, 1997 წლიდან 2003 წლის ჩათვლით, 70 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 2004-დან 2010 წლის ჩათვლით – მხოლოდ 36 პროცენტით. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდის ყველა წინასაარჩევნო დაპირება: უმუშევრობის პრობლემის მოგვარება; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; 100-დოლარიანი პენსია; საქართველოს მსოფლიო ფინანსურ ცენტრად გადაქცევა და სხვა მრავალი დაპირება დღემდე მხოლოდ დაპირებად დარჩა. ბოლო 8 წლის განმავლობაში ქვეყანაში დასაქმების მაჩვენებელი გაუმჯობესების ნაცვლად გაუარესდა – დასაქმებულთა რაოდენობა 170 ათასი კაცით შემცირდა.

**ხელისუფლების უთავო პოლიტიკამ განადგურებამდე მიიყვანა სოფლის მეურნეობა, მკვეთრად შემცირდა აგრარული სექტორის ძირითადი მაჩვენებლები. 2004-2011 წლებში ნათესი ფართობი განახევრდა, შესაბამისად შემცირდა პროდუქციის წარმოებაც. დასახელებულ პერიოდში აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი თითქმის 6-ჯერ გაიზარდა, ხოლო ექსპორტი – მხოლოდ 2,5-ჯერ. მოსახლეობა ერთ სულზე გაანგარიშებით ამჟამად მოიხმარს გაცილებით ნაკლებ ხორცსა და რძის პროდუქტებს, ვიდრე მოიხმარდა 2003 წელს.**

ნაცების ნაქებ განათლების რეფორმას ფაქტობრივად შედეგად მოჰყვა განათლების სისტემის კატასტროფა. სპეციალისტთა განმარტებით, საქართველოში ამ ვაირეფორმის წყალობით აღარც უნივერსიტეტი გვაქვს და აღარც საშუალო სკოლა. შეგვრჩა ამერიკული „პაბლიკ სკოლების“ მსგავსი „საჯარო სკოლები“ და უბადრუკი კოლეჯების დონის სასწავლებლები, რომლებმაც სახელად „უნივესრიტეტები“ დაირქვეს. შედეგად ის მივიღეთ, რომ ქვეყნის ახალგაზრდების საუკეთესო ნაწილი სასწავლებლად და სამუშაოდ საზღვარგარეთ გარბის.

**საქართველო, რომელიც ბოლო პერიოდში აღიარებულია ახალგაზრდა დემოკრატიის ნიმუშად და ევროპის გამორჩეულ უსაფრთხო ქვეყნად, სინამდვილეში გადაქცეულია პოლიციურ სახელმწიფოდ, სადაც გამეფებულია უსამართლობა, უუფლებობა და პატიმართა შემზარავი ტანჯვა-წამება. ამის მიუხედავად, პარლამენტის უმცირესობაში გადასული სააკაშვილი და მისი გუნდის წევრები უმრავლესობისგან მოითხოვენ იმ წარმატებებისა და რეიტინგების აღიარებას, რომლებიც მათ რეალურად კი არა, სიცრუითა და პიარტექნოლოგიების წყალობით მოიპოვეს.**

ჰოდა, აი იმ დღისით, როცა ბიძინა ივანიშვილმა პარლამენტის უმცირესობასთან შეხვედრისას ნაცების მიერ მოპოვებულ ცრურეიტინგებს უნდობლობა გამოუცხადა, ამან ისინი გამომწვევად გაალიზიანა:

– სამაგალითო მიღწევების ქვეყნად გვთვლიან პოსტსაბჭოთა სივრცეში, ასეთი გამოსვლით კი თქვენ კონსტრუქციული თანამშრომლობის წინააღმდეგ განაწყობთ თქვენს გუნდსაც და ოპოზიციონერებსაც, – უსაყვედურა პარლამენტის უხუცესმა წევრმა გოგი ოჩიაურმა ბიძინა ივანიშვილს, – იფიქრეთ ქვეყანაზე, ნუ აძლევთ თქვენს თავს დისკრედიტაციის უფლებას.

როგორ ფიქრობთ, რას უპასუხებდა ოპონენტებს ბიძინა ივანიშვილი? მან თქვა ის, რასაც ყოველთვის ამბობს: **რაც განვაცხადე, ეს არის არა ნაცების ნაქები საქმეების დისკრედიტაცია, არამედ რეალობა. ვიქნები ყოველთვის რეალისტი და ნაცების ფასადურ დაპირებებს არ გავიმეორებ. მათ ტყუილებით მსოფლიო ინსტიტუტები შეცდომაში შეიყვანეს და რაღაც რეიტინგები მიიღეს. ჩვენ უარს ვამბობთ სიცრუისა და ძალადობის მანქანაზე, ჩვენ ვიქნებით რეალისტები და საზოგადოებას მივაწვდით რეალურ ინფორმაციას და არა ფასადურს. თქვენი თანაგუნდელები კი, რომლებიც იდეოლოგიასა და დემაგოგიას ერთმანეთში ურევენ, ველარ გაყიდიან, სიცრუეს აღარ ექნება გასავალი.**

ჰოდა ჰო, რა ხანია, საქართველო სიცრუის ჭაობიდან ამოსვლას ლამობდა და, როგორც ჩანს, საწადელს მიაღწია. მადლობა უფალს, ამიერიდან საქართველოში სიცრუეს და დემაგოგიას გასაღების ბაზარი ამოექოლა.

**ოთარ ხუციშვილი**

**მილოცვა**

## მრავალჟამიერ, ბატონო ხვთისავარ!



**საქართველოს ცნობილ ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს, ჩვენი გაზეთის აქტიურ თანამშრომელს, საქართველოს „ფაზისის“ აკადემიის ნამდვილ წევრს, ექვთიმე თაყაიშვილის პრემიის ლაურეატს, სრულ პროფესორს ბატონ ხვთისავარ არჩემაშვილს 80 წელი შეუსრულდა.**

**ბატონო ხვთისავარ, ჩვენი გაზეთის კოლექტივი სულითა და გულით მოგესალმებათ და მოგილოცავთ მნიშვნელოვან იუბილეს. ჩვენ ყოველთვის სიამოვნებითა და მადლიერებით აღვნიშნავთ თქვენს აქტიურ და ნაყოფიერ, მრავალწლიან თანამშრომლობას ჩვენს გაზეთთან, სადაც ბევრი თქვენი საყურადღებო და დასამახსოვრებელი სტატია და მასალა დაიბეჭდა. თქვენ მნიშვნელოვანი წვლილი მიგიძღვით საქართველოს მაღალმთიანი რაიონების პრობლემების მოგვარებაში, რაც ძირითადად დაკავშირებული იყო იქ სამანქანო გზებისა და ელექტროხაზების გაყვანასთან, ისტორიული ძეგლების, უმთავრესად ლაშარის ჯვრის, აღდგენა-რესტავრაციასთან და ა. შ. მკითხველი დიდი ინტერესით შეხვდა თქვენს ლექსებსა და მოთხრობებს, წიგნებსა და ბროშურებს აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე. თქვენ დღესაც აქტიურად ემსახურებით ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-ჩამოყალიბების საქმეს.**

**მრავალჟამიერ, ბატონო ხვთისავარ, დაე, კიდევ დიდხანს გეცოცხლოთ ჩვენი დედასამშობლოს საკეთილდღეოდ!**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.

## განცხადება

**2012 წლის 07 ნოემბერს 15 საათზე გაიმართება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი-88“-ის დამფუძნებელ წევრთა განმეორებითი საერთო კრება მისამართზე: თბილისი გოგოლის ქ. №9.**

**დღის წესრიგი:**

1. ინფორმაცია მშენებლობის II ეტაპის მიმდინარეობის შესახებ **(ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. თაბუკაშვილი).**
2. ამხანაგობის დებულების დამტკიცების შესახებ **(ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. თაბუკაშვილი).**

ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა დასწრება სავალდებულოა.

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს პროფკავშირები ოცნებას სიმყარეზე ამოწმებენ

უმალვე, რაც მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი დაამტკიცეს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე, საქართველოს გადაუარა გაფიცვებისა და აქციების ტალღამ სოციალური მოთხოვნებით. ახალი ხელისუფლება ამაში პროპრეზიდენტული პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელს ხედავს. პროფკავშირის ლიდერები ამტკიცებენ, რომ ხალხი, რომელმაც „მიიღო თავისუფლების ერთი ყლუპი", აფრქვევს მიხეილ სააკაშვილის გუნდის მართვის წლებში დაგროვილ პრეტენზიებს.

ის, რომ არჩევნებმა და წინა პარტიის დამარცხებამ გამოიწვია დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილი სოციალური უკმაყოფილება, ცხადი გახდა პარლამენტის არჩევნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც თბილისში ლტოლვილებისა და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ჯგუფებმა დაიწყეს თვითნებურად სპორტული დარბაზების, საბავშვო ბაღების, მუშათა საერთო საცხოვრებლებისა და სხვა სათავსოების თვითნებურად დაკავება. კულმინაციად იქცა ინციდენტი თბილისის მერიის შენობასთან პარასკევ ღამით, როდესაც ასობით გაალმასებულმა ქალმა ბავშვებით ჯერ გადაკეტეს ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური პროსპექტი, შემდეგ კი შეეცადნენ, შეჭრილიყვნენ თავად შენობაში, მათ სცემეს დაცვას და მუნიციპალიტეტის რამდენიმე თანამშრომელს.

ამ აქციის მონაწილეთაგან ბევრმა საცხოვრებელი დაკარგა მას შემდეგ, რაც ბინები გარანტიის სახით დააგირავეს საბანკო კრედიტებისთვის, ახლა კი ხელისუფლებისგან ითხოვენ, გამოუყონ მათ „სოციალური საცხოვრებელი ფართობი". მერიაში განაცხადეს, რომ „სოციალური ბინები" ყველას არ ჰყოფნის. „შვეიცარიელი დონორების დახმარებით ჩვენ ავაშენეთ სახლი 28 ბინაზე, — აცნობა ჩვენს გაზეთს ქალაქის ადმინისტრაციის თანამშრომელმა. — ბინები გამოიყოფა მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებით და ასეთი საცხოვრებელი, რასაკვირველია, არ ეყოფა ყველა გაჭირვებულს".

უსახლკაროთა გააქტიურების გარდა საქართველოს გადაუარა აგრეთვე გაფიცვების ტალღამ. პარლამენტის მიერ ახალი კაბინეტის შემადგენლობის განხილვის დღეებში რამდენიმე საწარმოს თანამშრომლებმა ერთბაშად გამოაცხადეს გაფიცვა, ისინი მოითხოვდნენ შრომის პირობების გაუმჯობესებასა და ხელფასების მომატებას. სამუშაოზე არ გამოვიდნენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ჯორჯიან მარგანეცის" მაღაროელები ქალაქ ჭიათურაში, სააქციაო საზოგადოება „საქართველოს რკინიგზის" და ელექტროგამანაწილებელი კომპანიის „თელასის" თანამშრომლები, სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ეკუთვნის რუსეთის „ინტერ რაოს". გაფიცვა გამოაცხადეს „ბორჯომის" ქარხნისა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშებმა, ქობულეთი-ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლებმა, ფოთის საზღვაო ნავსადგურის მტვირთავებმა და რამდენიმე კლინიკის ექიმებმა.

პრემიერ ბიძინა ივანიშვილის გარემოცვაში განაცხადეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სოციალური პროტესტებისა და გაფიცვების უკან დგანან ძალები, რომლებიც დაინტერესებული არიან ახალი პრემიერის დისკრედიტაციით. ოდნავ მოგვიანებით ეს დაადასტურა თავად მთავრობის მეთაურმა: „ეჭვი მაქვს, რომ ქვეყნის ყოფილი ხელისუფლება აქტიურად აწყობს ამ აქციებს". „ამჟამად კომპეტენტური ორგანოები მუშაობენ ამაზე და, თუ ასეთი ფაქტები გამოვლინდა, დამნაშავეები მკაცრად დაისჯებიან საბოტაჟის გამო", — განაცხადა პრემიერის ერთ-ერთმა უახლოესმა მრჩეველმა გიორგი ხუხაშვილმა.

ზოგიერთი ექსპერტი თანახმაა, რომ საპროტესტო აქციების უკან პრეზიდენტის გუნდი დგას. როგორც ჩვენთან საუბარში დამოუკიდებელმა პოლიტოლოგმა იოსებ ცისკარიშვილმა განაცხადა, თბილისში ბინების ხელში ჩამგდები „საუბრობენ ერთი ტექსტით, თითქოს ვინმემ უკარნახა მათ, ეს ზეპირად შეესწავლათო". აღსანიშნავია ისიც, რომ გაფიცვები მოაწყვეს პროფკავშირებმა, რომლებიც ადრე არასოდეს გამოირჩეოდნენ აქტიურობით.

სხვათა შორის, პროფკავშირის ლიდერები ბრალდებებს თავიანთი მისამართით უარყოფენ. „რა ანტისამთავრობო საბოტაჟზე შეიძლება იყოს საუბარი, როდესაც გაფიცვების 99 პროცენტი ხდება კერძო საწარმოებში", — განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების ლიდერმა ირაკლი პეტრიაშვილმა. მისი სიტყვებით, „არჩევნებიდან თავისუფალი ამოსუნთქვის შემდეგ ხალხმა დაიწყო თავისი უფლებების დაცვა, ვინაიდან მას ამისი ეშინოდა წინა ხელისუფლების დროს". ბატონმა პეტრიაშვილმა შეგვახსენა, რომ ადრე, როდესაც ხელისუფლების სათავეში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტია იყო, ყველას, ვინც ცდილობდა პროტესტის გამოხატვას, „დაუყოვნებლივ აპატიმრებდნენ სხვადასხვა საბაბით". ახლა კი უმრავლეს შემთხვევაში დიალოგი გაფიცულ მუშაკებსა და სამუშაოს მიმცემებს შორის მიმდინარეობს წარმატებით და მხარეები პოულობენ კომპრომისებს. პეტრიაშვილის სიტყვებით, კონფლიქტი უკვე მოწესრიგდა კომპანია „თელასში". პროფკავშირის ლიდერმა ჩვენს გაზეთს აცნობა, რომ კომპანიამ დააკმაყოფილა გაფიცულთა ყველა მოთხოვნა.

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



**ჟენევის ტბა მილიონ ადამიანს ემუქრება კლიერი ცუნამით**

ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მეცნიერები, რომლებმაც კომპიუტერული მოდელირებით აღადგინეს კატასტროფა, რომელიც მოხდა ტბის სანაპიროებზე VI საუკუნეში. მაშინ უამრავი ხალხი დაიღუპა დამანგრეველი ცუნამით, რომელიც ჩამოყალიბდა ქვების ცვენის შედეგად. უზარმაზარმა ტალღებმა სულ რაღაც ერთ საათში გადაუარა წყალსაცავი და მიაღწიეს ჟენევას.

* * *

**კაცობრიობა შეიძლება გადაარჩინო „პეინტბოლის ბურთულის" დახმარებით, დაადასტურა ამერიკელმა კურსდამთავრებულმა**



მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა მოიფიქრა, თუ როგორ „გავაუვნებლოთ" ნებისმიერი ასტეროიდი, რომელიც დედამიწისკენ მოფრინავს: ის უნდა შეღებო თეთრად, რომ სახიფათო კოსმოსური სხეული აიტაცოს მზის ქარმა და შეცვალოს მისი მოძრაობის ტრაექტორია. გეგმის ერთადერთი ნაკლოვანებაა: ტრაექტორიის შესაცვლელად საჭირო იქნება დაახლოებით 20 წელი.

* * *

**დასავლელმა ექსპერტებმა ისლამისტების ვიდეოს ნახვის შემდეგ იქ აღმოაჩინეს ჩეჩენი ქალები ყუმბარმტყორცნებით**



სტუდია „ყოვლისშემძლე ალაჰის" ფილმი რუსულ ენაზე გვიამბობს „დების შესახებ ალაჰის გზაზე" — ქალების შესახებ, რომლებიც მზად არიან „დაიბრუნონ ოდინდელი მუსლიმანური ტერიტორიები". კინოში აღბეჭდილია ჩადრებში გახვეული ქალები როგორ ითვისებენ ტყვიამფრქვევებსა და სნაიპერულ შაშხანებს.

* * *

**აშშ-ში დამთავრდა ყოფილი სსრ კავშირიდან გამოსულთა „ისტორიული" აფერა 163 მილიონ დოლარზე**

ერთ-ერთმა მთავარმა ფიგურანტმა — „სომხეთიდან გამოსულმა დავით მირზოიანმა — აღიარა თავი დამნაშავედ. პროკურატურის მონაცემებით, ის სათავეში ედგა თაღლითების ბანდას, რომლებიც ითვისებდნენ ამერიკის სახელმწიფო ფონდიდან სამედიცინო დაზღვევის ფულს არარსებული კლინიკების მომსახურებისთვის.



## ვითარება

# ეკოლოგიური კატასტროფა — სახელად ხუდონჰესი

**ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ ხუდონჰესის აშენება-არშენების საკითხი კიდევ უფრო გააქტიურდა. ბიძინა ივანიშვილის გუნდი დიდი ჰესების მშენებლობის წინააღმდეგია, ხუდონჰესი კი საქართველოს პირობებში არათუ დიდი, გიგანტური ჰესია. ეკოლოგების მტკიცებით, ხუდონზე კაშხლის აგება, კატასტროფამდე მიიყვანს მთელი რეგიონის ეკოსისტემას.**

**გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამოუკიდებელმა კომისიამ, „საქართველოს მწვანეთა მოძრაობისა" და „დედამიწის მეგობრები საქართველოსთან" ერთად, პროექტ ხუდონჰესის შესახებ კვლევა ჩაატარა, რომლის პრეზენტაციაც სასტუმრო „ამბასადორში" გაიმართა.**

**„თუ თავიდან არ იქნა შესწავლილი ხუდონჰესის პროექტი, შესაძლოა, კატასტროფულ მდგომარეობამდე მივიდეთ",** — აცხადებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამოუკიდებელი კომისიის საექსპერტო ჯგუფის თავმჯდომარე ოთარ თურმანიძე.

**ამ დროისთვის ხუდონჰესის პროექტის მშენებლობა ეყრდნობა 80-იან წლებში ჩატარებულ კვლევას, თუმცა აუცილებელია, რომ მოხდეს კვლევის ჩატარება თანამედროვე მეთოდებით, რათა დადგინდეს ყველა ის რეალური საფრთხე, რაც შეიძლება პროექტთან დაკავშირებით არსებობდეს.**

ოთარ თურმანიძის თქმით, ხუდონჰესის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში შესრულებულია კავკასიის გარემოსდაცვითი ქსელის მიერ (CENN) მიერ და შეშფოთებას იწვევს რამდენიმე საკითხი: არ არის გაანალიზებული საქართველოში უკვე არსებული ჰესების ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილი გარემოს დაცვითი პრობლემები; არ არის განხილული ალტერნატივების ანალიზი; არ არის წარმოდგენილი ფიზიკური მოდელირების მონაცემები და მათ საფუძველზე მიღებული შედეგები; სეისმოდინამიკური პროცესები არასრულყოფილადაა განხილული; არ არის წარმოდგენილი თანამედროვე გეოლოგიური კვლევის ანგარიშები, ეროზიული პროცესების აღწერა, მეწყერსაშიში უბნების განსაზღვრა და სრულად არ არის წარმოდგენილი გზების, ხიდების, გვირაბების, ელექტროგადამცემი ხაზებისა და საგენერაციო სადგურის მშენებლობის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თავის მხრივ საჭიროებენ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებას.

**„ანგარიშში მოცემულია კაშხლის შესაძლო დაზიანების ანალიზი. ყველა განხილულ შემთხვევაში ენგურის ხეობის ქვედა ზონის მნიშვნელოვანი ნაწილი იტბორება. მიუხედავად ამისა, CENN-ის მიერ მომზადებულ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი, ვინ, რა საშუალებით და სახსრებით იცავს მოსახლეობას.**

**ასევე არ არის შესწავლილი გეოლოგიური და სეისმოლოგიური რისკები. ყოველივე მხოლოდ ზედაპირულად და ძველ მონაცემებზე დაყრდნობით არის განხილული. არადა, ბოლო 20 წელიწადში გახშირებულ მიწისძვრებს თუ გავითვალისწინებთ, კაშხლის ავარიამაც კი შეიძლება სამეგრელოს რეგიონს რეალური საფრთხე შეუქმნას",** — განაცხადა „ინტერპრესნიუსთან" საუბრისას ოთარ თურმანიძემ.

მთელი რიგი შენიშვნებია სხვა საკითხებთან მიმართებაშიც: ალტერნატივების ანალიზი, საინჟინრო გეოლოგია, სეისმურობა, მოდელირება, ჰიდროლოგია, კლიმატზე გავლენის საპროგნოზო შეფასება, იქტიოფაუნა, ნიადაგები და მოსახლეობის გასახლების გეგმა.



**„ეს არსებული პროექტის პრობლემების მხოლოდ მცირე ნაწილია. დაფიქრება და დასკვნის გამოტანა უკვე საზოგადოებასა და მთავრობას მართებთ",** — აღნიშნა ოთარ თურმანიძემ და დასძინა, რომ დღევანდელი პროექტი არის ასევე მიმართვა მომავალი მთავრობისადმი, რომ მოახდინოს სწორად გაანალიზდეს სიტუაცია და შემდგომ გადაწყვიტოს, აშენდეს თუ არა ხუდონჰესი.

**საპროექტო გათვლებით, ხუდონჰესის მშენებლობა მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 6 წელიწადში უნდა დასრულდეს. პროექტში, დაახლოებით, 1 მილიარდი ამერიკული დოლარის ინვესტიცია იგეგმება. აქედან, 600 მილიონი დოლარი კაშხლის მშენებლობისთვისაა განკუთვნილი, 400 მილიონი კი მოსახლეობის განსახლებასა და სოციალურ მოთხოვნილებებს მოხმარდება.**

**ხუდონჰესი ქვეყანაში სიმძლავრით მეორე ჰესი იქნება, რომელიც, წინასწარი მონაცემებით, მოგებას 2017 წლიდან მოიტანს, როდესაც, სადგურის ექსპლოატაციაში გაშვების შემდეგ, ქვეყნიდან ელექტროენერგიის იმპორტი და ელექტროენერგიის ტარიფის შემცირება განხორციელდება.**

მდინარე ენგურზე ხუდონის კაშხლის მშენებლობა 1986 წელს დაიწყო, თუმცა მოსალოდნელი ეკოლოგიური პრობლემების გამო, საპროტესტო აქციების მძლავრი ტალღის ფონზე, შეჩერდა. საქართველოს მთავრობამ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის განახლების გადაწყვეტილება 2005 წელს მიიღო. მას შემდეგ ხუდონჰესის მოსალოდნელ ზიანსა და სარგებელზე დისკუსიამ აქტუალობა შეიძინა არა მარტო სპეციალისტთა წრეებში, არამედ სამოქალაქო სექტორშიც. განსაკუთრებით აქტიურობენ გარემოსდამცველები.

**„როცა ჩატარდა განხილვები, მოსახლეობის დიდი ნაწილი იძახდა, ჩვენ არ გვინდა გადასახლებაო, თუმცა იმასაც იძახდნენ, 30 წელია, არ გვეძლევა იმის საშუალება, რომ ნორმალურად ვიცხოვროთო. ეს ადამიანები ერთხელ უკვე იყვნენ გადასახლებულები საბჭოთა ხელისუფლების მიერ ქვემო ქართლში. როგორც ისინი აღწერენ, იქ არ იყო ის პირობები, რომელსაც ისინი იყვნენ შეჩვეულნი და როგორც კი მოეცათ საშუალება, დაბრუნდნენ",** — ამბობს „მწვანე ალტერნატივას" ხელმძღვანელი მანანა ქოჩლაძე.

**სოფელ ხაიშის გარდა, დატბორვის საფრთხე სხვა სოფლებსაც ემუქრებათ. ქოჩლაძე ვარაუდობს, რომ ამ პროექტის შედეგად, დაახლოებით, 3 ათასამდე ადამიანის გადასახლება გახდება საჭირო.**

ენერგეტიკის ექსპერტის გენო მესხიას განცხადებით, **ხუდონის მშენებლობის შედეგად შეიძლება უფრო მეტი უარყოფითი შედეგი მივიღოთ, ვიდრე დადებითი. ხუდონის წყალსაცავის მშენებლობა გამოიწვევს ღრუბლიანობისა და ნალექების კლებას, კლიმატის უარყოფითი გავლენა გავრცელდება არა მარტო 5 კმ-ის რადიუსში, არამედ ზეგავლენა ექნება მთლიანად სვანეთზე.**

**კაშხლის მშენებლობის შედეგად, წყლის ქვეშ აღმოჩნდება დაახლოებით 530 ჰა ფართობის ტერიტორია, მათ შორის, ჯვარი-მესტიის დამაკავშირებელი გზა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საძოვრები, ტყის მასივები, სასაფლაოები, ეკლესია, მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები, მათ შორის, შუასაუკუნოვანი ხაიშის ციხე და ხაიშში აღმოჩენილი, ჯერ კიდევ შეუსწავლელი, არქეოლოგიური ძეგლი.**

გიორგი ბექაური

**შაბათ-კვირის ჩანაწერები**

# „საკუთარი ცხოვრების“ მემატიანე

„სუხიშვილების“ მსოფლიო ტრიუმფს, რა თქმა უნდა, ისე არავინ დატოვებდა და აღბეჭდავდნენ კიდეც ფოტო თუ კინოფირზე, მაგრამ ასე დაწვრილებით, ასე ყოველწამიერად, ვინ მოახერხებდა ამას, თვინიერ **თენგიზ ურთმელიძისა,** რომელმაც ზედმიწევნით გამოიყენა თავისი ჟურნალისტური პროფესია – „სუხიშვილების ერთ-ერთ ღირსეულ წევრს, თითქმის ყველგან თან დაჰქონდა ფოტოაპარატი, რათა არ გამორჩენოდა არც ერთი სამახსოვრო მომენტი, ჩვენი სახელოვანი ანსამბლის დედამიწის სიგრძე-განედზე საგასტროლო მოგზაურობისა. ჩაიმარცვლება ანსამბლის „ოქროს ხანაც“ – გასული საუკუნის 60-იანი წლები – და შთამომავლობას დარჩება ფასდაუდებელი ფოტომასალა სწორედ იმ წლებში გადაღებული – „სუხიშვილების“ გამორჩეული სოლისტისა, ანსამბლის ჭეშმარიტი მემატიანისა.



მოგვიანებით, უკვე „დამსახურებულ პენსიაზე“ გასული, თუმცა კვლავაც მგლისმუხლება თენგიზ ურთმელიძე – მოღვაწე ჩვენი კულტურის სხვადასხვა სფეროში – თავის მდიდარ არქივს ნელ-ნელა გახსნის, ჟურნალ-გაზეთებში გამოაქვეყნებს მაღალოსტატურად გადაღებულ ფოტოებს, ასე ვთქვათ, საზოგადოებას „შეაჩვევს“, მერე კი თავისი ნამუშევრების შესანიშნავ ფოტოგამოფენასაც გამართავს, მიიღებს დამსახურებულ ქებას, იგრძნობს ქართული ინტელიგენციის დიდ მადლიერებას...

ამანაც გააბედვინა ბატონ თენგიზს, რომ ცალკე წიგნად, ფოტოალბომად გამოეცა ყოველივე და ამით, როგორც ჟურნალისტი, მართლაც რომ ვალმოხდილი ყოფილიყო თავისი უსაყვარლესი ანსამბლის წინაშე...

და აი, ქალაქ თბილისის მერიის დახმარებით გამოცემული უნიკალური ალბომი: **„თენგიზ ურთმელიძე, „სუხიშვილები“, რომანტიკული ფოტომატიანე“...** მის ფურცლებზე აღბეჭდილია ანსამბლის ყველა წევრი – ცალ-ცალკე, ჯგუფურად, უმეტესად, კონცერტებზე, სცენაზე, ანდა, ქართული სიხალისითა და სილაღით მოსეირნე მსოფლიოს სხვადასხვა უცხო ქალაქის ქუჩებში...

რა თქმა უნდა, დიდი ნინო რამიშვილი და დიდი ილიკო სუხიშვილი არიან ალბომის „მთავარი მოქმედი პირნი“, ალბომისა, რომლის წინასიტყვაობაში ცნობილი თეატრმცოდნე **ნოდარ გურაბანიძე** ზუსტად აღნიშნავს: **„ბუნებას ბატონი თენგიზი დაუჯილდოებია მახვილი მზერით, კომპოზიციის უტყუარი გრძნობით, სახე-პორტრეტის ინდივიდუალური ნიუანსების აღთქმის ნიჭით, მაგრამ ეს ყოველივე არ არის საკმარისი სრულყოფილების მისაღწევად. იგი „შიგნიდან“ გრძნობს ცეკვას, მის რიტმს, უცდომელი თვალით აღბეჭდავს მოცეკვავეთა პლასტიკის უმცირეს მოძრაობას“.**

აბა, ისე როგორ იქნებოდა და, ალბომში დაბეჭდილია გრიგოლ რობაქიძის დღეს უკვე ცნობილი – „ქართული გენია როკვით განფენილი“, რომელიც 1962 წელს ჟენევაში „სუხიშვილების“ კონცერტის ხილვამ შთააგონა ემიგრაციაში მყოფ მწერალს... მერე და მერე კი ალბომი გვაცნობს უამრავ ჟურნალ-გაზეთში დაბეჭდილ ქართველ თუ უცხოელ ავტორს, ქართული სიჩაუქის, ქართული სინარნარის მაქებარს და, წარმოუდგენელია, არ იგრძნო უზომო სიამაყე ამ მასალების გაცნობისას, ამ ფოტოების ხილვისას... და არ აღივსო დიდი მადლიერებით „სუხიშვილების“, ანუ „საკუთარი ცხოვრების“ მემატიანის მიმართ.

# „იდიდე წიგნო, იდიდე!“

ვარიანში, დიდი იაკობ გოგებაშვილის მშობლიურ სოფელში „იაკობობა“აღნიშნეს. იმედით გულანთებული საუბრობენ პედაგოგები, ისევ დაუბრუნდება „დედაენა“ სკოლებსო, ჩვენი ნორჩები საეჭვო ღირებულების ქართული ენის წიგნებით აღარ ისწავლიანო, ეს ახალი ხელისუფლების, განათლების სამინისტროს ყურადღებისა და ზრუნვის საგანი უნდა გახდესო.

მაშ, ეგრე უნდა იყოს, რადგან უბერებელია დიდი იაკობის „დედაენა“, რადგან უბერებელია მისი სიბრძნე და სიქართულე.

გახსოვთ? სწორედ ამან დააწერინა შოთა ნიშნიანიძეს „დედაენისადმი“ მიძღვნილი სტრიქონები:

**„იდიდე წიგნო, იდიდე,**
**ქართული სულის ლაზათო,**
**ღმერთი თუ არა, ღმერთკაცი,**
**იქნება კიდევ გაზარდო!“**

ჭეშმარიტად!

# მოგელანდებით!

გადიან „დაცვის პოლიციის“ ბიჭები „ალექსანდრეს ბაღიდან“. უცებ მოვიდა ბრძანებაო, გიგი უგულავას თავისი დაცვა მოუნდომებია ბაღებსა და სკვერებშიო, რაც იქნება, იქნება, ნეტა, მთლად უმუშევარს არ დაგვტოვებდნენო...

თავიდან ძალიან უხასიათოდ იყვნენ, ვრჩებით უმუშევრებიო... ვამშვიდებდით, არ არსებობს, ბიჭებო, თქვენი უმუშევრად დატოვება, აი, ნახავთ, ღარიბაშვილი სიტყვას შეასრულებს, ყველას საქმე გექნებათ, რას იზამთ, გიგი უგულავას, ჯერ კიდევ შემორჩა თავისი ხუშტურები...

ჰოდა, დღეს, მართლაც კარგ ხასიათზე არიან ბიჭები, სხვაგან გადავდივართ, მაგრამ, რა მნიშვნელობა აქვს, ხელფასი იგივე გვექნებაო, ამბობენ.

– ის მნიშვნელობა აქვს, რომ ვეღარ შევხვდებით ყოველდღე, – ვამბობ გულდაწყვეტილი.

– აბა, თითქმის ათი წელიწადია ვიცნობთ ერთმანეთს... რაც არი, არი, მთავარია, კარგად ვიყოთ, – ამბობს ერთ-ერთი ოფიცერი, ხოლო მეორე – უფროსი სერჟანტი – ხალისიანი, იუმორმომადლებული ყმაწვილი, ვითომ, გაჯავრებული გვიბღვერს, გურამ პეტრიაშვილის ცნობილ ფრაზას ისვრის: „იცოდეთ, მოგელანდებით!“ და ღიმილით გვემშვიდობება.

# დაკნინების ხანა

გამოდის რუსთაველის თეატრის მმართველი ზაალ ჩიქობავა ტელევიზიით და, ცხადია, ამართლებს ჩვენი საამაყო თეატრის დღევანდელი ადმინისტრაციის საქმიანობას, აბა, რა ვქნათო, ხანდახან დარბაზის გაქირავებაც გვიხდებაო, „ქეთო და კოტეს“ ახალი მუსიკალური ვერსია, ბათუმის შემდეგ, სწორედაც, ჩვენს სცენაზე უნდა აჟღერებულიყოო... და ასე შემდეგ...

ისეთი დრო დგას, მაგალითად, ოპერაში ჯინსებითაც რომ შეიძლება შესვლა (ალბათ, მალე შორტებითაც) და გასაკვირი რაღაა, მაგრამ, მე უბედურს, თბილისს რომ არ გავცილებივარ, იქნებ გამაგებინოთ, ასე ყოველგვარ ღონისძიებაზე ქირავდება მოსკოვის დიდი და მცირე აკადემიური თეატრები, ანდა, პეტერბურგის დიდი დრამატული თეატრი?!. რაღაცა, არა მგონია... ჩვენთან – ქირავდება... ოღონდ ხალხი მივიდეს და ისეთი სპექტაკლებიც იდგმება, ფილარმონიას რომ შეშვენის... რა ჰქნას მმართველმა (თუ ერთმმართველმა)?... ვინმე ავტორიტეტს ჰკითხოს? იმდენი ქნეს, რობიკო სტურუა აიძულეს წასულიყო თეატრიდან და ახლა ვინღაა იქ ისეთი, რომ წინ აღუდგეს ამ უდიდესი ტრადიციების მქონე ეროვნული დაწესებულების დაკნინებას?!.

რა ვქნათ, დრო დგას ასეთიო... კი ყოფილა ხალხი ის კომუნისტები, ვაგლახად, ჩიტსაც რომ არ შეაფრენდნენ ქართველი ხალხის სათაყვანო თეატრის შენობაში... დღეს?.. გადაიხადე ფული და, თუ გნებავს, გადაიხადე ქორწილი ხორავას, ვასაძის, ზაქარიაძის ნატრფიალ სცენაზე!..

ვაი, ჩვენს პატრონს!

**ვილენ მარდალეიშვილი**

**ვითარება**

# მხარს უჭერენ გადაწყვეტილებას ლაზიკის მშენებლობის შეჩერებასთან დაკავშირებით

**ზუგდიდში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ლაზიკის ეკოლოგიური, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები“. ესწრებოდნენ ზუგდიდის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ბევრმა ეს კონფერენცია უკვე დაგვიანებულად ჩათვალა, რადგან ცნობილია, რომ ლაზიკის მშენებლობის შეჩერება განზრახული აქვს ახალ ხელისუფლებას. „რასაც ახლა ვამბობთ, წინა ხელისუფლების პირობებში შეუძლებელი იყო, ყველას გვეშინოდა, მაგრამ ახლა, როდესაც შეგვიძლია თავისუფლად გამოვთქვათ ჩვენი აზრი, ვამბობთ, რომ ლაზიკის მშენებლობა იყო დამღუპველი, უპერსპექტივო, ეკოლოგიურად და ეკონომიკურად გაუმართლებელი და გათვალისწინებელი იყო გაუთვითცნობიერებელი ადამიანებისათვის, ამიტომ გვინდა ჩვენი ხმა მივაწვდინოთ ახალ ხელისუფლებას, რომ ვიწონებთ მათ გადაწყვეტილებას ლაზიკის მშენებლობის შეჩერებასთან დაკავშირებით“, – აღნიშნა ამ კონფერენციის ერთ-ერთმა მომწყობმა პროფესორმა გიორგი ფარულავამ.**



ამ კონფერენციაზე ლაზიკის მშენებლობის ეკონომიკურ ასპექტებზე მოხსენება გააკეთა ასევე ამ კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ეკონომისტმა ვლადიმერ ლუკავამ. „ნებისმიერი ეკონომიკა დგას სამი ამოცანის წინაშე. რა, როგორ, ვისთვის? ამჯერად საუბარია ეკონომიკაზე, რომლის ფარგლებშიც აშენდებოდა ქვეყანაში ახალი მეგა-ქალაქი. ლაზიკის მშენებლობას სამეგრელოში თავიდანვე გაუჩნდა მომხრეებიც და ოპონენტებიც, მაგრამ ამ ნების პოლიტიკური დეკლარირება მოხდა მომხრეების სასარგებლოდ და გადაწყვეტილების მიღებისას არ იქნა გათვალისწინებული ქალაქის მშენებლობის როგორც ეკონომიკური, ეკოლოგიური, ისე სოციალური მიზანშეწონილობა. ეკონომიკის თეორიასა და პრაქტიკაში ცნობილია ეკონომიკური განვითარების ექსტენსიური (რაოდენობრივი) და ინტენსიური (თვისებრივი) ტიპი და აღიარებულია ისიც, რომ რეალური ეკონომიკური ზრდის პროცესი უნდა გულისხმობდეს განვითარების უპირატესად ინტენსიურ ტიპს, ანუ ძალიან პრაგმატული გაგებით განვითარდეს ის, რაც გვაქვს და შემდეგ ვიფიქროთ ახალზე. ყულევი-ანაკლიის შავი ზღვის მონაკვეთზე გათვალისწინებული ლაზიკის მშენებლობა მოკლებული იყო ყოველგვარ ურბანულ კანონზომიერებას. ვიცოდით მარტო, რომ ამ ქალაქში იქნებოდა ყველაზე დიდი პორტი და ბიზნესცენტრი. უცნობი იყო ქალაქის ეკონომიკური ინფრასტრუქტურა, მისი სოციალურ-კულტურული განვითარება, მისი დემოგრაფიული შემადგენლობა. უცნობი იყო, რა ტიპის ქალაქი იქნებოდა ლაზიკა, მეცნიერული, ადმინისტრაციული თუ მხოლოდ ბიზნეს მეგაპოლისი. ცნობილი იყო, რომ 500 000-იანი ლაზიკის მშენებლობა დაჯდებოდა 5-10 მილიარდ დოლარამდე და გათვალისწინებული იყო 10 წლის ფარგლებში ამ თანხის ათვისება, ხოლო საქართველოს 2013 წლის ბიუჯეტი მხოლოდ 7,1 მილიარდ ლარს შეადგენს, რა რესურსის და ეკონომიკური პოტენციალის მქონე იყო საქართველო, რომ აეშენებინა ლაზიკა? ასევე ლოგიკურია კითხვა, ვინ დააფინანსებდა ლაზიკის მშენებლობას? ვინ იქნებოდა ის ინვესტორი, რომელიც 10 მილიარდ დოლარს ჩადებდა 500 000-იანი ქალაქის მშენებლობაში 10 წლის განმავლობაში? მოგეხსენებათ, ინვესტიცია ეს არის კაპიტალის წინასწარ მრავალწლიანი ვადით დაბანდება მოგების მიღების მიზნით, როცა ინვესტორი ლაზიკას ააშენებს და დახარჯავს 10 მილიარდ დოლარს, როგორ მიიღებს ის მოგებას? ალბათ, გაყიდის უძრავ ქონებას, ვინ იყიდის ამ უძრავ ქონებას? ვის აქვს ამდენი თანხა? აი, ეს არის ის კითხვები, რომელიც ლაზიკის მშენებლობის იდეის ავტორებს პასუხგაუცემელი რჩებათ,“ აღნიშნა თავის მოხსენებაში ვლადიმერ ლუკავამ.

**ლადო ქირია,**
ზუგდიდი.

**P. S. ზუგდიდში არსებობს მოსაზრებაც, რომ ლაზიკის მშენებლობის შეჩერებამ შესაძლებელია სეპარატიზმი, კუთხური დაპირისპირება გამოიწვიოს, მიხეილ სააკაშვილი სამეგრელოში ახალი ქალაქის აშენებას აპირებდა და ახალმა ხელისუფლებამ დაბლოკაო.**

**ლ. ქ.**

**ინფორმაცია**

# სასჯელაღსრულების ხუთი დაწესებულების დირექტორი თანამდებობიდან გათავისუფლდა



**სასჯელაღსრულების ხუთი დაწესებულების დირექტორი სოზარ სუბარმა თანამდებობიდან გაათავისუფლა, თუმცა, მისივე თქმით, დაწესებულებების ბევრი ხელმძღვანელი სისტემაში დარჩება.**

**ამის შესახებ სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა 31 დაწესებულების მონახულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა. როგორც სუბარმა აღნიშნა, შესაძლოა, კიდევ 1-2 ციხის დირექტორი შეიცვალოს. ამასთან, მინისტრის თქმით, გიორგი ტუღუშის მინისტრობის დროს ციხის ძველი დირექტორებიდან ყველა დათხოვილია. ამასთან, სუბარის თქმით, მისი მოადგილეების დამტკიცება ორ დღეში იგეგმება. სოზარ სუბარის მოადგილეები იქნებიან გია გიორგაძე, სოფო ჯაფარიძე; აგრეთვე, ირაკლი წერეთელი, რომელიც მინისტრის ინფორმაციით, ნამუშევარია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, მათ შორის – შსს-ს უწყებაში.**

ინტერპრესი

◎ კალათბურთი



# „არმიამაც“ კი იბრძოლა

**სუპერლიგის II ტურში გათამაშებაში ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი თბილისის „არმია“ ჩაება, რომელმაც, თუ საბოლოო შედეგით ვიმსჯელებთ, ერთი შეხედვით იოლი გამარჯვება მოიპოვა „ქუთაისთან“, მაგრამ არც მთლად მასე განვითარდა მოვლენები.**

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – სტუმრებმა საწყისი მეოთხედი 18:11-ით მოიგეს, რაშიც დიდი წვლილი გიორგი ბარბაქაძემ შეიტანა (მან ორი სამქულიანი ჩააგდო). ფავორიტებმა მდგომარეობა მას შემდეგ გამოასწორეს, რაც რიონისპირელთა ცენტრმა მათიაშვილმა პერსონალური შენიშვნების გამო სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა.

თითქოს ამ მომენტს ელოდნენო, შეუჩერებელნი გახდნენ უილსონი, ვილეჯი, გამყრელიძე და მათი პარტნიორები, რასაც საბოლოოდ სოლიდური უპირატესობა მოჰყვა – 78:58.

**დანარჩენი შედეგები:** „შსს აკადემია“ – „სოხუმი“ 100:90, თსუ – სტუ 65:59, „ბათუმი“ – „დინამო“ 53:69, „რუსთავი“ – „სამედიცინო“ 79:57. ისვენებდა „ოლიმპი“.

ასე რომ, 2-2 მოგებით შსს აკადემია, „დინამო“ და „რუსთავი“ დაწინაურდნენ.

**III ტურში ითამაშებენ:** „ქუთაისი“ – სტუ (2 ნოემბერი), „ოლიმპი“ – „ბათუმი“, „დინამო“ – „რუსთავი“, შსს აკადემია – თსუ, „არმია“ – „სამედიცინო“ (3 ნოემბერი). ისვენებს „სოხუმი“.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**XXIII ეროვნული ჩემპიონატის XI ტური. „დინამო“ – „ზესტაფონი“ 2:1, „სიონი“ – „ტორპედო“ 0:2, „დილა“ – „მერანი“ 2:1, „ჩიხურა“ – „ბათუმი“ 3:0, „ბაია“ – „მეტალურგი“ 2:1, „ვიტ ჯორჯია“ – „კოლხეთი“ 2:0.**



**სატურნირო მდგომარეობა I წრის შემდეგ:** „დინამო“ – 26, „ტორპედო“ – 25, „დილა“ – 22, „ჩიხურა“ – 20, „ზესტაფონი“, „ბაია“ – 17-17, „მეტალურგი“ – 15, „ვიტ ჯორჯია“ – 14, „მერანი“ – 12, „ბათუმი“ – 8, „სიონი“ – 7, „კოლხეთი“ – 3 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** „დინამო“ – „მეტალურგი“, „ბაია“ – „ტორპედო“, „დილა“ – „ვიტ ჯორჯია“, „მერანი“ – „ზესტაფონი“, „ჩიხურა“ – „კოლხეთი“, „ბათუმი“ – „სიონი“.

* * *

**იტალია.** „კატანია“ – „იუვენტუსი“ 0:1, „ნაპოლი“ – „კიევო“ 1:0, „ბოლონია“ – „ინტერი“ 1:3, „მილანი“ – „ჯენოა“ 1:0, „რომა“ – „უდინეზე“ 2:3, „ფიორენტინა“ – „ლაციო“ 2:0.

**ესპანეთი.** „რაიო ვალეკანო“ – „ბარსელონა“ 0:5, „ატლეტიკო“ – „ოსასუნა“ 3:1, „მალიორკა“ – „რეალი“ 0:5, „სარაგოსა“ – „სევილია“ 2:1.

**ინგლისი.** „ჩელსი“ – „მანჩესტერი“ 2:3, „სიტი“ – „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ 1:0, „ევერტონი“ – „ლივერპული“ 2:2, „არსენალი“ – „სუონსი“ 1:0, „სანდერლენდი“ – „ტოტენჰემი“ 1:2.

**გერმანია.** „ბაიერნი“ – „ლევერკუზენი“ 1:2, „შალკე“ – „ნიურნბერგი“ 1:0, „ფრაიბურგი“ – „ბორუსია“ 0:2, „შტუტგარტი“ – „აინტრახტი“ 2:1.

**გიორგი შოთაძე**

◎ ძიუდო

# ქართველები „ბრინჯაოს“ დასჯერდნენ

**ბრაზილიის ქალაქ სალვადორ დე ბაიაში ძიუდოისტთა გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატში საპრიზო ადგილებისთვის 14 ნაკრები იბრძოდა, მათ შორის საქართველოს ეროვნული გუნდი ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონის ირაკლი ცირეკიძის ხელმძღვანელობით.** სტარტზე ჩვენი ძიუდოისტები „მშრალად“ გაუსწორდნენ ბრიტანელებს – შეხვედრები მოიგეს შალვა ქარდავამ (66 კგ), ზებედა რეხვიაშვილმა (73), ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81), ვარლამ ლიპარტელიანმა (90) და ლევან მატიაშვილმა (+90). მეორე ტურში ქართველმა იაპონელებთან წააგეს – ნუგზარ ტატალაშვილმა (73) იაპონიით აჯობა მსოფლიოს პრიზიორ იასუჰირო ავანოს, ლიპარტელიანმა მასაში ნიშიამა დაამარცხა. ქარდავამ და ჭრიკიშვილმა მასაკი ფუკუოკასთან და კეიტა ნაგაშიმასთან წააგეს, მათიაშვილს – მსოფლიოს ჩემპიონმა დაიკი კამიკავამ სძლია. ჩვენმა ნაკრებმა დამამშვიდებელ ჯგუფში კუბის ნაკრებს 3:2 აჯობა. „ბრინჯაოსთვის“ პაექრობაში კი სამხრეთ კორეა დაჯაბნა – 4:1.



ასევე, მესამე ადგილზე გავიდნენ მასპინძლები, რომლებმაც გადამწყვეტი შეხვედრა ფრანგებს მოუგეს – 3:2. ასეთივე ანგარიშით რუსებმა ძიუდოს ფუძემდებლები დაამარცხეს და მსოფლიოს ჩემპიონობა პირველად მოიპოვეს.

**ლაშა დიდია**

◎ რაგბი

# ისევ „ლელო“ და „არმია“



**საქართველოს მორაგბეთა მე-9 ტურში განსაკუთრებით ორი შეხვედრა გამოირჩა, რომლებიც „შევარდენის“ სტადიონზე გაიმართა.** ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი „ლოკომოტივი“ წლევანდელი გათამაშების აუტსაიდერ „აკადემიას“ დაუპირისპირდა, ეტყობა, რკინიგზელები იოლ გასეირნებას ელოდნენ, რის გამოც დაისაჯნენ კიდეც, პირველი ტაიმი, ფაქტობრივად, საფეხბურთო ანგარიშით დასრულდა – ერთადერთი ჯარიმა გიორგი წვერავამ („აკადემია“) გაიტანა. შესვენების შემდეგაც აუტსაიდერები ფლობდნენ ინიციატივას და საბოლოოდ მატჩიც სასურველ დასასრულამდე მიიყვანეს – 19:10.

შემდეგ სარბიელი გათამაშების ცხრილში გვერდიგვერდ მყოფ „არმაზსა“ და „ჯიქებს“ დაეთმო. პაექრობა დაძაბულად და დრამატულად წარიმართა. ანგარიში „ჯიქებმა“ გახსნეს, მაგრამ მთელი პაექრობა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ორთაბრძოლის ბოლო წუთისთვის „არმაზი“ ორი ქულით აგებდა შეხვედრას, თუმცა საფინალო სასტვენამდე დავით კიკნაძემ ცენტრის ხაზიდან ზუსტად დაარტყა ჯარიმა და თავის გუნდს გამარჯვების ქულა მოუტანა – 20:19.

**დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა:** „ყოჩები“ – „აია“ (ქუთაისი) 6:23, „ლელო“ – „ხარები“ (რუსთავი) 27:0, „არმია“ – „ბათუმი“ 31:16.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ლელო“ – 38 (258:112), „არმია“ – 37 (251:131), „აია“ – 30 (251:131), „არმაზი“ – 25 (181:160), „ჯიქები“ – 21 (163:151), „ლოკომოტივი“ – 18 (177:169), „ბათუმი“ – 14 (130:177), „ხარები“ – 9 (92:196), „აკადემია“ – 9 (74:259), „ყოჩები“ – 7 (142:234).

**გივი გაგუა**

# ელიტამდე ბელგიური ბარიერია

**პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში დაიწყო 17 წლის მორაგბეთა შესარჩევი ტურნირი, სადაც 18-წლამდელთა ელიტარული დივიზიონის ორი საგზური თამაშდება. უმაღლეს ეშელონში ასაზევებლად ოთხი გუნდი იბრძვის. მათ შორისაა საქართველოს ნაკრები.** უმცროსმა „ჯვაროსნებმა“ შეჯიბრება გერმანელ თანატოლებთან შეხვედრით დაიწყეს. პირველი ტაიმის მე-3 წუთზე იოსებ კიკვაძემ ანგარიში ლელოთი გახსნა, რასაც გერმანელებმა მალე ზუსტი საჯარიმო დარტყმით უპასუხეს. მე-12 წუთიდან სულ უპირატესობას ქართველი მორაგბეები დაეუფლნენ. შესვენებამდე გიორგი მღებრიშვილმა, კიკვაძემ (2) და ზაურ ხარებავამ ოთხი ლელო მიითვალეს. რევაზ ჯინჭველაშვილმა ყველა ზუსტად გარდასახა და ახალგაზრდა „ბორჯღალოსნები“ საგრძნობი უპირატესობით დაწინაურდნენ – 33:6, თანაც ოთხზე მეტი ლელოს გატანისთვის საპრემიო ქულა პირველსავე ტაიმში დაიმსახურეს.

შეხვედრის მეორე ნახევარიც ჩვენებურთა სრული უპირატესობით წარიმართა და ალემანები საბოლოოდ 50:13 დაამარცხეს. იმავე დღეს მასპინძლებმა ბელგიელებს მოუგეს – 38:10. ქართველი მორაგბეები დღეს, 30 ოქტომბერს, მეორე ტურის მატჩში, ალბათ, ბელგიელებთანაც მოიპოვებენ გამარჯვებას, რითაც ელიტრაუნდის საგზურს დაიბევებენ. პორტუგალიელებს იქ გასვლა, ფაქტობრივად, გარანტირებული



ექნებათ, რადგან გერმანელთა ძლევა არ უნდა გაუჭირდეთ. 2 ნოემბერს საქართველო პორტუგალიას, ბელგია კი გერმანიას დაუპირისპირდება.

იმავე პორტუგალიაში გაისად ჩილეში გასამართავი მსოფლიოს თასის – „ალაფის“ საგზურისთვის 19-წლამდელი მორაგბეებიც იბრძვიან. პირველ ტურში საქართველოს ნაკრებმა ესპანელებს 31:13 მოუგო. 31 ოქტომბერს ჩვენი ბიჭები რუმინელებს შეხვდებიან და წარმატების შემთხვევაში მეორე ჯგუფში პირველ ადგილზე გასულ გუნდს ჩილეს ერთადერთი საგზურისთვის გაუწევენ მეტოქეობას.

**ლექსო ცინცაძე**

◎ ფიგურული ციგურაობა

# გედევანიშვილი მე-5 ადგილით იწყებს

**სრიალის საერთაშორისო კავშირის (ISU) ინიციატივით ფიგურულად მოციგურავეებმა სეზონი გრან პრის ექვსეტაპიანი გათამაშებით დაიწყეს.** მე-2 რაუნდში, რომელსაც კანადურმა ონტარიომ უმასპინძლა, 22 წლის ქართველი სპორტსმენი, ორგზის ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი ელენე გედევანიშვილიც მონაწილეობდა (იგი ამჟამადაც კანადაში ბრაიან ორსერის ხელმძღვანელობით იმაღლებს ოსტატობას). პირველ დღეს ჩვენებურმა მოკლე პროგრამით მსაჯებისგან 60.80 ქულა დაიმსახურა და მეორე ადგილზე გასულ 16 წლის მასპინძელ ქეთლინ ოსმონდს 0,24 ქულით გაუსწრო. მესამე ადგილზე რუსი ქსენია მაკაროვა (58.56) იყო.



თავისუფალი პროგრამით ვარჯიშისას გედევანიშვილმა რამდენიმე შეცდომა დაუშვა და საბოლოოდ 160.52 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა. 176.45 ქულით ყველას ქეთლინ ოსმონდმა აჯობა. მეორე-მესამე ადგილებზე იაპონელები – შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის მე-3 პრიზიორი აკიკო სუძუკი (175.16) და ახალგაზრდებში 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონი კანაკო მურაკამი (168.04) გავიდნენ.

◎ მძლეოსნობა

# საქველმოქმედო ნახევარმარათონი

**საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციისა და კომპანია „ჰაიდელბერგ ცემენტის“ ერთობლივი ორგანიზებით თბილისის ზღვაზე საერთაშორისო ტურნირი გაიმართა ნახევარმარათონში (21 კმ). შეჯიბრებაში სხვადასხვა ასაკის 400-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.**

მთავარ ტურნირში პირველი ადგილი თბილისელმა დავით ხარაზიშვილმა დაიკავა, რომელმაც დისტანცია 1 საათსა და 14 წუთში დაფარა. მეორე-მესამე ადგილებზე ფოთელი ჯეირან ხოფერია (1.15.00) და დედაქალაქელი თემურ ბაიკეევი (1.15.39) გავიდნენ. **ქალებში** საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. გიული დეკანაძე (ვანი, 1.29.45), 2. გაიანე უსტიანი (ახალციხე, 1.33,10), 3. ეველინა სტუდერი (გერმანია, 1.57.19).



ახალგაზრდები 5 კილომეტრზე ცდიდნენ ძალებს. **გოგონები.** 1. ლიდა ბერძენიშვილი (ბორჯომი. 20 წუთი და 57,2 წამი), 2. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი, 21.18), 3. დიანა ჯინისიანი (ახალციხე, 22.10.7). **ვაჟები.** ჯიმშერ ბუკია (ხობი, 17.59), 2. ვაჟა ალავიძე (18.03), 3. გიორგი წითურიძე (ორივე – თბილისი, 19.50).

ღონისძიებაზე შემოსული თანხა მთლიანად ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე გადაირიცხა.

**ნატა ნიბლაძე**

## ეპიტაფია

# გია ლომაძე



კიდევ ერთი ღირსეული შემოქმედი და ერისკაცი გამოაკლდა ჩვენს რიგებს.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და პუბლიცისტი **გია (გიგლა) ალექსანდრეს ძე ლომაძე**, რომელიც თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე უანგაროდ, მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა მშობელ ქვეყანას, მშობელ ხალხს, მშობლიურ ლიტერატურას.

გია ლომაძე დაიბადა 1953 წლის 28 მაისს ფოთში.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ დაიწყო გია ლომაძის უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვანი საზოგადოებრივი საქმიანობა. თუ რამ გამოარჩევდა ბატონ გიას სხვადასხვა თანამდებობაზე საქმიანობისას, ეს იყო ცინცხალი გონება, საგნებსა და მოვლენებში უსწრაფესად წვდომის უნარი, ავკარგიანობა, მედროვეთათვის, ქვეყნის დამაქცევართათვის ნიღბის ჩამოგლეჯა.

გია ლომაძის ლიტერატურული დებიუტი 1977 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა „მატარებელი №“, ამას მოჰყვა „კაცი გალავანზე“ და „თაბაშირის კაცი“. ეს იყო ბრწყინვალე დებიუტი, როცა ქართულ სამწერლო ოჯახში ერთმანეთს ულოცავდნენ უდავოდ ნიჭიერი და დიდი შემოქმედებითი პოტენციის მქონე პროზაიკოსის გამოჩენას.

გია ლომაძის შემოქმედება, რომელმაც დაივანა ისეთ კრებულებში, როგორიცაა „კაცი გალავანზე“, „კროსვორდი“, „ახალი ბაბილონი“ ყურადღებას მწერლური ოსტატობით, ადამიანური სიმართლით, გამბედაობით, ძიების დაუოკებელი სურვილით გამოირჩევა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია გია ლომაძის პუბლიცისტური წიგნები „პრეზიდენტის უფლება“, „როგორ შეიქმნა „ასლანდია“, „ენითხუროები“. ამ წიგნებში გამოიკვეთა მწერალი-პუბლიცისტის მამულიშვილური შემართება,

გია ლომაძის კალამს ეკუთვნოდა მხატვრული თარგმანები, მხატვრული ნარკვევები, მისი კინოსცენარების მიხედვით კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ გადაიღეს მხატვრული ფილმები „მიწა თავისას მოითხოვს“ და „კაცი გალავანზე“.

გია ლომაძის საუკეთესო ნაწარმოებები ითარგმნა უკრაინულ, ესტონურ, ლატვიურ, ჩეხურ, რუსულ, უნგრულ, ბულგარულ ენებზე.

მას მინიჭებული ჰქონდა დავით აღმაშენებლის სახელობისა და საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემიები.

მოყვასის სიყვარული, ადამიანებთან საერთო ენის გამონახვის ნიჭი, გამბედაობა და ჭაბუკური შემართება გამოარჩევდა გია ლომაძეს და სწორედ ასეთად დაამახსოვრდებათ იგი მის მეგობარ ქართველ მწერლებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

---



მეუღლე დიანა, შვილები ქეთევანი, ნანა, მედეა, სიძეები შოთა გლურჯიძე, ირაკლი კანდელაკი, შვილიშვილები სანდრო, დინი კანდელაკები, თომა, გაბრიელ გლურჯიძეები, ძმისწულები ალიკა, მედეა ტაბაღუები ოჯახებით, დისწულები ელისო, თორნიკე, რუსუდან მაქაცარიები ოჯახებით, რძლები ცეცილია თოდუა, მედეა ხონელიძე, ცოლისძმა ბადრი კვირტია ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ანზორ შონია**

პანაშვიდი 30, 31 X, 17 სთ. დაკრძალვა 1 XI, 15 სთ. მისამართი: ზუბალაშვილების ქუჩა №7, გამოსვენება საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან 15 სთ.

---

საზოგადოება „ზუგდიდელი“ გამოთქვამს ღრმა მწუხარებას ამავე საზოგადოების დამაარსებლისა და თავმჯდომარის, საქართველოს საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი მოღვაწის, პუბლიცისტის, საქართველოს ისტორიის დაუღალავი მკვლევარის, ერთგული მეგობრისა და უკეთილშობილესი მოქალაქის

**ანზორ შონიას**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საზოგადოების სახელით

**ვახტანგ მეუნარგია, თენგიზ მეუნარგია, თამაზ გაფრინდაშვილი, ანზორ ჭითანავა, ოთარ ჭითანავა, ჯემალ კვირტია, რობერტ ბაღიშვილი, გენო სარჩიმელია, ზურაბ ჩიქავა, კახა არდია, ნუგზარ იზორია, ირაკლი კიზირია.**

---

ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდიუმი და ამ აკადემიის წევრები – ნუგზარ ნადარაია (პრეზიდენტი), ალვენ ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, ვაჟა ეგრისელი, სიმონ ზაქარაია, ჯემალ კვირტია, ვაგნერ მხეიძე, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, კლიმენტი შელია, გულნაზ ხარაიშვილი, ოთარ ჭითანავა, როლანდ ჯალაღანია, ჯემალ ჯიქია, სერგო წურწუმია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე აკადემიის აკადემიკოსი, საუცხოო ადამიანური თვისებების მქონე პიროვნება, საქართველოს ისტორიის დაუღლელი მკვლევარი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, ულალატო მეგობარი და ნაღდი პატრიოტი

**ანზორ შონია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

რეზო ფაჩულია შვილებით მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სახალხო კაცი, გამორჩეული მეგობარი, მოაზროვნე და მოღვაწე ადამიანი

**ანზორ შონია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

## ალიან-ჩალიანი

### ითხოვენ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული პირების საქმის შესწავლას

**არასამთავრობოები** მთავრობას პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლებული პირების საქმის გარემოებების შესწავლას სთხოვენ.

როგორც „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებიდან“ იტყობინებან, „საერთაშორიო გამჭვირვალობა – საქართველოსა“ და საიას-თან ერთად წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის ფარგლებში მოქალაქეთა მიმართ პოლიტიკური ნიშნით ზეწოლის მრავალი ფაქტი შეისწავლეს და გამოაქვეყნეს.

არასამთავრობოების განმარტებით, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული – საჯარო სექტორიდან პოლიტიკური მოტივით სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევები იყო.

– ჩვენ მიერ აღრიცხული შემთხვევებიდან, ყველაზე ხშირად მოქალაქეთა სავარაუდოდ, პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლებას ადგილი ჰქონდა განათლებისა და მეცნიერების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის, შინაგან საქმეთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების დაქვემდებარებულ უწყებებში, ადგილობრივ თვითმმართველობებსა და მათდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში. არასამთავრობო ორგანიზაციები მივმართავთ შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, დაუყოვნებლივ დაიწყონ შიდაუწყებრივი მოკვლევა სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლებული პირების გათავისუფლების გარემოებების თაობაზე, რათა დროულად აღდგეს უკანონოდ გათავისუფლებული მოქალაქეების უფლებები და გამოვლინდნენ უკანონო გადაწყვეტილებების მიმღები პირები, – ნათქვამია არასამთავრობოების ერთობლივ განცხადებაში.

„სამართლიანი არჩევნები“, საია და „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ აღნიშნულ საკითხებზე მთავრობასთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნას გამოთქვამენ.

### ემზარ კვიციანის ოჯახი საქართველოში დაბრუნდა

**ემზარ კვიციანის** ოჯახი კვირა ღამით საქართველოში დაბრუნდა. კვიციანის მეუღლის, თეთნულდ ანსიანის განცხადებით, ისინი იმედოვნებენ, რომ ახალი ხელისუფლება მათ საქმეს ობიექტურად გამოიძიებს და გამოძიების შემდეგ ემზარ კვიციანიც დაბრუნდება საქართველოში.

კვიციანების ოჯახი საქართველოდან ექვსი წლის წინათ წავიდა. კვიციანის წინააღმდეგ საქმე 2006 წელს უკანონო ფორმირებების ჩამოყალიბებისა და სახელმწიფო გადატრიალების მომზადების ბრალდებით არის აღძრული.

### ტრასაზე ავტომანქანა აფეთქდა

**ავტომანქანის** აფეთქების გამო საქართველოს ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის გორი-რუისის მონაკვეთზე გუშინ მოძრაობა პარალიზებულ იყო.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, ტყიბულიდან თბილისის მიმართულებით მოძრავი „ვოლვოს“ მარკის ავტომანქანა აფეთქდა. ავტომანქანაში 5 მგზავრი იმყოფებოდა, მათ შორის 2 მცირეწლოვანი ბავშვი. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ავტომანქანა მთლიანად დაიწვა. აფეთქების სავარაუდო მიზეზად გაზის გაჟონვა სახელდება, რადგან ავტომანქანა ბუნებრივ აირზე მუშაობდა. მოკვლევას საპატრულო პოლიცია აწარმოებს.

ინტერპრესნიუსი

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: ვარ უკიდურესად ღარიბი. ვიღებ ინვალიდობის პენსიას და კიდევ სოციალურ დახმარებას – 22 ლარს. მეზობლები მეუბნებიან, რომ დახმარება 30 ლარი მეკუთვნის. მე კი არ ვიცი, სად წავიდე და ვის მივმართო. იქნებ დამეხმაროთ?**

**ლენა ინასარიძე**

**პასუხი:** იმისთვის, რომ 22 ლარის ნაცვლად 30 ლარი დახმარება მიიღოთ (ორივე ერთად არ მოგეცემათ), საჭიროა, დარეგისტრირდეთ მონაცემთა ბაზაში და მოიპოვოთ შესაბამისი სარეიტინგო ქულა. აღნიშნულ საკითხზე მისვლას თუ პირადად ვერ შეძლებთ, საჭიროა თქვენმა ახლობელმა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ სამსახურს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

* * *

**კითხვა: ვარ 25 წლის, მყავს 3 წლის ბავშვი, რომელსაც მამამ გვარი მისცა, მაგრამ შემდეგ მისი ასავალ-დასავალი აღარ ვიცით, საერთოდ არ ნახულობს ბავშვს, სადღაც დაიკარგა. იქნებ მაცნობოთ, ჩავითვლები თუ არა მარტოხელა დედად?**

**ანა გიორგობიანი**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პირობები მიხედვით, მარტოხელა დედად არ ჩაითვლებით. თქვენი შვილი, რომლისთვისაც მამას გვარი მიუცია, სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რითაც რეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვი. ასე რომ, თუ თქვენი შვილის მამა ნებაყოფლობით არ მონაწილეობს ბავშვის აღზრდაში, სრული უფლება გაქვთ მისთვის შვილის სარჩენად ალიმენტის დაკისრების თაობაზე მიმართოთ სასამართლოს.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.**

---

მეუღლე ნანა ახვლედიანი, შვილი ნინო, დები გულნარა, ნათელა, დისწულები ლევან, გიორგი ნამგალაძეები, სიძე გია ნამგალაძე, რძალი სოფიო კორძახია, დეიდაშვილი ფიქრია ინასარიძე, მანანა ახვლედიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



**ლევან იოსების ძე მგალობლიშვილი**

პანაშვიდი 30, 31 X, 17 სთ. გამოსვენება 1 XI, 15 სთ. მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. №75, პირველი სადარბაზო, მესამე სართული.

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, აკადემიის პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ლევან მგალობლიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ყოფილი წამყვანი თანამშრომელი

**გოგი ბოჭორიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

თენგიზ, ქეთინო, ქეთი ქავთარაძეები, ზურაბ, ციცო, ზანდა მსხვილიძეები სამძიმარს უცხადებენ ქალბატონ ნუნუ გრიგალაშვილს დედის

**თამარ მაკარის ასულ ხარშილაძის**

გარდაცვალების გამო.

## დაიჯესტი

### ნუ ვიქნებით პატარა ბავშვებივით...

**ძლიერად გამოხატულ, აკვიატებულ შიშს, რომელიც გარკვეულ ვითარებებში მძაფრდება და რაიმე ლოგიკურ ახსნას არ ექვემდებარება, ფობია ეწოდება.**

მეცნიერთა დაკვირვებით სხვადასხვა სახის ფობიით შეპყრობილ ადამიანთა 40 პროცენტს ერთი



ისეთი მშობელი მაინც ჰყავს, რომელსაც ანალოგიური რამ სჭირს; არსებობს მრავალი ფობია — მაგალითად, დახურული, ან პირიქით, ღია სივრცის შიში, რაც საკმაოდ გავრცელებული სახეობაა, არის იშვიათი, მაგალითად, რძის შიში. მაგრამ არსებობს კიდევ „ფობიების ხელმწიფე“ — ესაა რაიმე ფობიით დაავადების შიში! ბოლო 15 წლის მანძილზე ფობიების რიცხვი მსოფლიოში სამზე მეტჯერ გაიზარდა: კერძოდ, თუ 1996 წელს ითვლიდნენ ფობიების 300 სახეობას, 2011 წლის მიწურულისთვის მათ რიცხვმა 1030-ს მიაღწია. პანიკური შიშის გრძნობას ახლავს ოფლიანობა, გულისრევა, კუჭის აშლილობა, აჩქარებული გულისცემა, გულყრა, ცახცახი, უჰაერობა, სიკვდილის შიში, თვითკონტროლის დაკარგვა, ჭკუიდან გადაცდომის შიში და სხვ; აკვიატებულ შიშებს, ზოგჯერ, სპეციფიკური ხასიათი აქვთ, რაც გარკვეულ სიტუაციებში უდიდესი დისკომფორტის შეგრძნებით გამოიხატება — მაგალითად, სიმაღლეზე ყოფნისას, ან შეიძლება იგი რაიმე საგანთან ან ცოცხალ არსებასთან, მაგალითად, ქვეწარმავლებთან ან ობობებთან იყოს დაკავშირებული. არის კიდევ სოციალური ფობიები — ხალხის თავშეყრის, საკუთარი პერსონის მიმართ განსაკუთრებული ყურადღების შიში; სპეციფიკური ფობიები ქალებში სამჯერ უფრო ხშირია, ვიდრე მამაკაცებში; ქალაქში მცხოვრებნი სხვებზე სამჯერ მეტად არიან ფობიებით შეპყრობილნი; ბოლო დროს მეტად გახშირდა ეგრეთ წოდებული ნომოფობია — ესაა მობილური ტელეფონის უქონლობის შიში; ზიგმუნდ ფროიდს საშინლად ეშინოდა 62 რიცხვის — კერძოდ, იგი უარს ამბობდა იმ სასტუმროში გაჩერებაზე, სადაც 61-ზე მეტი ოთახი იყო, რადგან № 62-ის მიღების შიში ჰქონდა; პატარა ბავშვებში ყველაზე მეტად გავრცელებულია სომნიფობია, რაც დაძინების შიშით არის გამოწვეული; ჰოლივუდის ვარსკვლავს ჯონი დეპს კლოუნების პანიკური შიში აქვს; საშინელებათა მეფე სტივ კინგს კი სიგიჟემდე ეშინია სიბნელისა და მოჩვენებების; ფობიის დაძლევის გზაზე პირველი ნაბიჯია მისი აღიარება და მასთან ბრძოლის დაწყება; ნიკოლაი გოგოლს ცოცხლად დამარხვის პანიკური შიში ჰქონდა.

### როცა სამხრეები ღიპზეა...

**არცთუ დიდი ხნის წინათ რუსეთის ჯარს ახალი ფორმა ჩააცვეს, რომლის შემქმნელი ქვეყანაში მაღალი მოდის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ვალენტინ იუდაშკინია.**

ახალ, „მოდურ“ ფორმას მასმედია დიდი ზარზეიმით შეხვდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ერთია ქალების გამოპრანჭვა, მეორე — პროფესიონალ ჯარისკაცთა ჩაცმა. რამდენიმე კვირის წინათ კი სწორედ ახალი სამხედრო ფორმის მოთხოვნებთან შეუსაბამობის მიზეზით გადადგა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს მეთაური, რომელმაც „იუდაშკინის ფორმა“ შემოიღო.

აღმოჩნდა, რომ ახალ ფორმასთან დაკავშირებით სამხედრო მოსამსახურეთა პრეტენზიები ყველაზე მეტად იმის გამო გამოითქმებოდა, რომ მასში სამხრეები „ღიპზეა“ და არა მხრებზე, ქსოვილი ადვილად იხევა, წებოვანი შესაკრავები იძენძება, ქაფები სუსტია და ღილები მათ ადვილად ჭრიან. მაგრამ ყველაზე დიდ მინუსად მაინც იმას ასახელებენ, რომ ახალი ფორმა ტენს ადვილად იწოვს, ძნელად შრება, ხოლო სითბოს საერთოდ ვერ აკავებს.



## ჩვენი პრესდაიჯესტი

## ჟურნალ-გაზეთებიდან



### — გასრისეთ გველი, სანამ დროა!

— დაუნდობელია სააკაშვილის მიმართ რეზო ამაშუკელი, — იგი რომ გაჰყვიროდა პარლამენტის ტრიბუნიდან, ყველანი ციხეშიო, მაშინ ხომ წამოდგნენ ფეხზე და ტაში დაუკრეს?

ახლა მე ვიძახი მაგათზე — ყველანი ციხეში! ყველანი ციხეში! ყველანი ციხეში!

„ასავალ დასავალი“

### რა პროვოკაცია იგეგმება ალასანიას წინააღმდეგ!

საქართველოს ახალი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია უკვე შეუდგა მუშაობას: წინა კვირაში გავრცელდა ხმა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი გაერთიანებული შტაბის უფროსს გიგი კალანდაძეს და რამდენიმე მაღალჩინოსან სამხედროს შეხვდა. მთავარსარდალს მათთვის უთქვამს, რომ ალასანიას არ დაემორჩილონ, რადგან მალე ისევ ნაციონალები დაბრუნდებიან ხელისუფლებაში. ამბობენ, რომ ალასანია ამ რაღაცეებისთვის მზად არის. თუ გავითვალისწინებთ, რომ მას საკმაოდ საინტერესო ბიოგრაფია აქვს, ინტრიგების მოგერიება არ გაუჭირდება.

„ახალი თაობა“

### პატრიოტთა ბანაკები შეიძლება გაუქმდეს

სპორტის და ახალგაზრდობის ახალი მინისტრი ლევან ყიფიანი აცხადებს, რომ აუცილებლად ჩაატარებს აუდიტს და გაარკვევს, თუ რა მდგომარეობაა ფინანსური თვალსაზრისით სამინისტროში.

არ არის გამორიცხული, ახალმა მინისტრმა პატრიოტული ბანაკები გააუქმოს.

„პატრიოტული ბანაკების პროექტის შემქნელებსაც აღარ სჯერათ!“ — აცხადებს ყიფიანი.

„რეზონანსი“

### „ზურას ეგონა, მიშას გამოვიყენებო და ბოლოს თავად აღმოჩნდა მის ხელში“

— ამბობს ქვემო ქართლში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ლევან მამალაძე, რომელიც 9 წელიწადია სამშობლოში არ ყოფილა და მალე ჩამოსვლას გეგმავს, — სააკაშვილის მოყვანით, ზურას გუნდში განხეთქილება დაიწყო, ყველა კონფლიქტი სააკაშვილის მეშვეობით ღვივდებოდა... თავის გუნდში სააკაშვილის მიყვანით ზურაბმა საფლავი გაითხარა. გასარკვევია, ვინ შემოუგდო სააკაშვილი ჟვანიას — რუსებმა თუ ამერიკელებმა და რატომ შეუწყო მის აღზევებას ხელი შევარდნაძემ.

„კვირის პალიტრა“

### სკანდალური ინტერვიუ

ეს ინტერვიუ იმდენად ამაზრზენია, რომ, შეიძლება, ბოლომდე ვერც ერთმა თქვენგანმა ვერ წაიკითხოს...

..სამი დღის წინათ, მიუნხენში ახალაიამ დაბადების დღე გადაიხადა, რომელსაც საქართველოდან ჩასული 20 კაცი დაესწრო... მოქეიფეებს შორის ასახელებენ ძმებ საბანაძეებს — ბიზნესმენებს, რომლებიც ახალაიების ცნობილი ხელის ბიჭები არიან... ასევე იქ ყოფილა ციხის ცნობილი მწვალებელი და გამაუპატიურებელი მიხეილ ჭარბაძე და მისი მოადგილე მეგრელაშვილი....

„ქრონიკა“

**რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“**
299-62-77;
599 32-85-76.

**იყიდება ბინა სასწრაფოდ!**
ქალაქის ცენტრში, ოპერის უკან, თაბუკაშვილის 32-ში სასწრაფოდ და ძალიან იაფად იყიდება 4-ოთახიანი, 100 კვ.მ. მაღალჭერიანი ბინა, დაშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 70 ათასი დოლარი. დარეკეთ საღამოს — 247-57-79.

## ანეკდოტები

**ქმარი** ვიდეოს უყურებს და საოცრად დაძაბული ყვირის: არ წახვიდე, შე სულელო, არ მიხვიდე საკურთხეველთან...

— რას უყურებ? — ეკითხება ცოლი.

— ჩვენს ჯვრის წერას...

* * *

— **ჩვენთან** სამსახურში თამბაქოს მოწევა სასტიკად აკრძალულია, საწარმოს ეზოშიც კი არ გაგაჩერებენ.



— კი, მაგრამ რა ხდება თქვენთან, ასე რად იკლავენ თავს თქვენი ჯანმრთელობისთვის, სად მუშაობ?

— დენთის ქარხანაში.

* * *

— **დასაწყისისთვის** ჯერ ოფისის იატაკი მოწმინდეთ! — ეუბნება შეფი ახალ თანამშრომელს.

— სერ, მე კემბრიჯი დავამთავრე! — აღშფოთდა იგი.

— აი, თურმე რაშია საქმე! მაშინ მომეცით ტილო და მე გიჩვენებთ, როგორ უნდა გააკეთოთ ეს!

* * *

— **დღეს** ძალიან გამაბრაზე, — ეუბნება ცოლი ქმარს, — და ამიტომ ამ საღამოს არ მოგცემ...

— სექსის ნებას არ მომცემ? — აწყვეტინებს ქმარი.

— ძილის ნებას არ მოგცემ! ნახე, როგორ გაუხარდა ამ ნაძირალას!

## კადრი



**ავტორთა საყურადღებოდ!** რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24